პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეორე

# კომუნისტი

ს. ს. ს.
ცენტრ. და თბილისის მაზრ. კომიტეტის და სრულ. საქარ. მ., ზ., ზ.-არტ. და მატროსთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის ორგანო.

რედაქცია: თბილისი, კრუზენშტეინის ქ. № 4.
მთავარი კანტორა: ტბილისი, რუსთაველის პრ., № 24 მე-2 სართული).

რედაქციის მიღება საქმისათვის ყოველდღე გარდა კვირა უქმეებისა დილის 9—2 ს. ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 14—76 მდივნის № 19 საერ. №

ხელის მოწერის თვიური ფასი შემდეგია: პარტიულ ორგანიზაციებისა და პროფკავშირებისათვის მიტანით: ქალაქში—140 ათასი მანეთი, პროვინციაში—180 ათ. მ. ყველა დანარჩენ ხელის მომწერთათვის მიტანით: ქალაქში 200 ათ. მ. პროვინციაში 240 ათასი მ. განცხადება—10 ათ. მ. ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 300 ათასი მ. ტელეფონის № კანტორისა № 5—48.

ფასი 10,000 მან.
პროვინციაში 12,000 მან.

№ 201 | კვირა, 3 სექტემბერი 1922 წ. | ყოველდღიური გაზეთი | კვირა, 3 სექტემბერი 1922 წ. | № 201

## გაუმარჯოს საერთაშორისო ახალგაზრდობის დღეს—პროლეტარულ ახალგაზრდობის ბრძოლისა და გამარჯვების დღესასწაულს.
## გაუმარჯოს მშრომელი ახალგაზრდობის საერთაშორისო კონგრესს გაერთიანებულ მუშათა ფრონტის შესაქმნელად.
## მრავალ ახალგაზრდა ამხანაგების გვამებით მოფენილი გზით და აურაცხელი მსხვერპლის გაღებით აღწევს პროლეტარიატი თავის განთავისუფლებას.
## დიდება და საუკუნო ხსენება მათ, ძვირფას ამხანაგებს—რევოლუციის გმირებს.
## გაუმარჯოს ახალგაზრდობის კომუნისტურ ინტერნაციონალს.
## გაუმარჯოს საქართველოს ახალგაზრდობის კომუნისტურ კავშირს.

## იმედი რევოლუციის

(ახალგაზრდობის ძალთა დემონსტრაციის დღე)

საერთაშორისო მუშათა ახალგაზრდობის, დღე, რომელიც ჩვეულებრივ ეწყობა სექტემბრის პირველ კვირის ერთ-ერთ დღეს, წელს იმართება 3 სექტემბერს.

ამ დღეს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს არა მარტო ახალგაზრდობისა, არამედ მთელი მუშათა კლასისათვის.

მუშათა ახალგაზრდობა ორგანიული ნაწილია მუშათა კლასის, მისი რეზერვი, მისი მომავალი და იმედი.

ახალგაზრდობის მდგომარეობა, მისი რევოლიუციონური შეგნების დონე უდიდეს როლს თამაშობს საერთოდ პროლეტარიატის განთავისუფლების საქმეში.

და თუ პროლეტარიატს მთლიანათ აქვს მუშათა საერთაშორისო დღე, პირველი მაისი, როცა ის ქუჩებში გამოდის ყველა ქვეყნის მუშების სოლიდარობის და ძალების დემონსტრაციას ახდენს და კაპიტალის უღლიდან თვით-განთავისუფლებისათვის ბრძოლის ურყევ გადაწყვეტილებას ამჟღავნებს, მუშათა ახალგაზრდობას აქვს ამ საერთო დღესასწაულს გარდა თავისი დღე, როცა ის, ამავე გრძნობით და მიზნით გამსჭვალული საქვეყნოდ ამცნობს მტრებსაც და მოყვრებსაც თავის ზრახვებს და იდეალებს.

რანაირია ეს იდეალები რევოლიუციონური ახალგაზრდობის, როგორია მისი დღევანდელი მდგომარეობა და რა საშუალებები მოეპოვება მას ამ იდეალების განსახორციელებლად?

მუშათა ახალგაზრდობას აქვს იგივე საბოლოო მიზანი, როგორც საერთოდ პროლეტარიატს—ესაა მოსპობა არსებული კაპიტალისტური რეჟიმის და შრომის სუფევის დამყარება.

უნდა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ ამ რეჟიმისაგან ყველაზე უფრო იჩაგრება სწორედ მუშათა ახალგაზრდობა, როგორც შედარებით უფრო სუსტი ელემენტი. ბატონი კაპიტალისტები აწარმოებენ ნორჩი ახალგაზრდობის უსაზღვრო ექსპლოატაციას, ამუშავებენ მას აუტანელ პირობებში ზედმეტ დროს, სამუშაო ხელფასს კი აძლევენ ფრიად მცირეს. ეს კი სერიოზულ საფრთხეს უმზადებს მათ მომავალს: იწვევს მათ ფიზიკურ დაუძლურებას, ამასთან შეუძლებელს ხდის მათ კულტურულ განვითარებას.

მედგარი ბრძოლა ასეთი მდგომარეობის წინაამდეგ და შექმნა შრომის ისეთი პირობებისა, როცა უზრუნველყოფილი იქნება მისი ჯანმრთელობა და საშუალება მიეცემა მას დაეწაფოს გონებრივ განვითარებას,—შეადგენს მშრომელ ახალგაზრდობის და მთელი მუშათა კლასის ყოველდღიურ ამოცანას.

მაგრამ ამ ამოცანების სავსებით განხორციელებაც შესაძლებელია მხოლოდ რევოლიუციის გზით, არსებული ბურჟუაზიული წყობილების დამხობით.

და ამიტომ მუშათა ახალგაზრდობა, ილვწის რა თავის ყოველ დღიური ცხოვრების გასაუმჯობესებლად, და მორიგი ამოცანების განსახორციელებლად, ამ ბრძოლას ასულდგმულებს საბოლოო პერსპექტივების წარმოდგენით და თავის უფროს ძმასთან დავაჟკაცებულ პროლეტარიატთან ერთად ჩაბმულია რევოლიუციონურ ბრძოლაში ამ ძირითადი მიზნის მისაღწევად.

ამ ბრძოლის წარმატებით საწარმოებლად საჭიროა მთელი მშრომელი ახალგაზრდობის მჭიდროდ დარაზმვა, ნაციონალურ და საერთაშორისო მასშტაბით მძლავრი ერთიანი ფრონტის შექმნა.

დღევანდელი დღე სწორედ წარმოადგენს საერთაშორისო რევოლიუციონურ ახალგაზრდობის კავშირის დემონსტრაციას.

მძიმეა ის პირობები, რომლებშიც უხდება ახალგაზრდობას მუშაობა. მისი რევოლიუციონური მოძრაობის წინაამდეგ მიმართულია არა მარტო არსებული რეჟიმის მახვილი; შემთანხმებელი პარტიებიც ცდილობენ მის მიმხრობას, ოპორტუნიზმის შხამით მოწამვლას, მისი ნებისყოფის მოდუნებას.

მაგრამ მშრომელი ახალგაზრდობა მედგრად იტანს როგორც ბურჟუაზიული მთავრობების რეპრესიებს, აგრეთვე თავისუფლდება მოღალატე სოციალისტების იდეოლოგიურ ტყვეობისა და გავლენისაგან. იგი ფართე მასსებით დგება კომუნისტური ინტერნაციონალის დროშის ქვეშ.

კერძოდ, სანუგეშოა ამ მხრივ მდგომარეობა ჩვენში, საქართველოში. თუ რამდენიმე წლის წინედ ადგილობრივი ახალგაზრდათა კომკავშირის ორგანიზაცია, მთელ რიგ უკუღმართ პირობების წყალობით, უმთავრესად, მენშევიკების მხრით უსასტიკესი დევნის გამო, სუსტი იყო, დღეს მისი წევრთა რიცხვი უკვე 12000-ს უდრის და მშრომელი ახალგაზრდობის დიდი უმრავლესობა მის გარშემოა თავმოყრილი.

ამ მიმართულებით მუშაობის გაძლიერება და იდეური დაპყრობა მთელი მშრომელ ახალგაზრდობის—ახ. კომკავშირის ერთი უმთავრესი ამოცანათაგანია.

მეორე მთავარ მიზანს შეადგენს დღევანდელ „მშვიდობიან" პირობებში მუშათა ახალგაზრდობის კულტურული განვითარება, სწავლება. ახალგაზრდობა უნდა ცდილობდეს საჭირო თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნის შეძენას.

კომუნისტური ინტერნაციონალის გარშემო დარაზმული რევოლიუციონური ახალგაზრდობა, კლასობრივად გათვითცნობიერებული და ცოდნით აღჭურვილი, შესძლებს იმ მოვალეობის პირნათლად ასრულებას, რომელსაც აკისრებს მას ისტორია.

დღევანდელმა დღემ, როცა ახალგაზრდობა იგონებს ბრძოლის განვლილ საფეხურებს, კრეფს თავის ძალებს და ითვალისწინებს მომავალი მოქმედების გზებს და საშუალებებს, უნდა შემატოს მას მეტი ენერგია და ბრძოლის სურვილი.

გაუმარჯოს მშრომელთა ახალგაზრდობის დღეს!

გაუმარჯოს მუშების და გლეხების ნორჩ თაობას, რევოლიუციის საიმედო რეზერვს და მომავალი განახლებული ცხოვრების ბატონ-პატრონს!

## მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობა ახალგ. კომ. ინტერნაციონალის დროშის ქვეშ

საერთაშორისო ახალგაზრდობის დღეს, 3 სექტემბერს, სრულდება საქართველოს კომუნისტური ახალგაზრდობის არსებობის 5 წლის თავი.

პროლეტარული ახალგაზრდობის პატარ-პატარა ჯგუფები 1917 წელს, დგამენ გაუბედავ ნაბიჯებს საქართველოს ახალგაზრდობის ძლიერი, მასიური ორგანიზაციის შექმნისაკენ. გაუბედავს, იმიტომ, რომ ისინი პირველად სცდილობდენ კავკასიაში ნამდვილი რევოლიუციონური ორგანიზაციის შექმნას. მათ არ შეეძლოთ წარმოედგინათ, რომ ასე სწრაფად ცალ-ცალკე ჯგუფებიდან გაიზრდებოდა ნამდვილი ახალგაზრდობის მოძრაობა.

ამ ჯგუფების სულიერი მამა—ძველი რევოლიუციონერი მიხა ცხაკაია „აქეზებდა" ამ დიდ საქმეში გაუბედავ ახალგაზრდობას და თვით იღებდა მხურვალე მონაწილეობას მის შექმნა-

...

ში. გაუბედაობამ თავი იჩინა რამდენიმე ხნის შემდეგ, იმ მხრივ, რომ 1918 წლის დამლევამდე ახალგაზრდობის ერთი მთლიანი ხელმძღვანელი ორგანო არ ჰყავდა. მაგრამ ჯგუფები, რომელნიც არ ჰკარგავდენ იმედს მთლიანი რჩებოდენ და სცდილობდენ შეექმნათ თავისი ორგანო და მის გარშემო მთელი ახალგაზრდობა შემოიკრიბათ. ქუთაისში გამოვიდა თითო ნომერი გაზ. „3 ინტერნაციონალი"-სა და „ახალგაზრდა კომუნისტი". 1918 წლის ბოლოდან იწყება ნამდვილი მუშაობა. და აი ამ ხნის განმავლობაში, მიუხედავათ მენშევიკების თეთრი ტერორისა, საქართველოს კომუნისტური ახალგაზრდობა ყალიბდება ერთ დიდ მასიურ ორგანიზაციად.

ჩვენ მოწინაამდეგებს კლასიური და პარტიული შეგნება სულ სხვა გვარი აქვთ, ვიდრე ჩვენ. ჩვენი, როგორც მარქსისტულის, კლასიური და პარტიული შეგნება, მარქსისტულია. ამას ჩვენ ვამბობთ იმიტომ, რომ საქართველოს მთელი მშრომელი ახალგაზრდობა (და არა ქუჩების და მოედნების მტკეპნავი ახალგაზრდობა) იმყოფება საქ. კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირის გავლენის ქვეშ, რომელსაც ჰყავს თავის რიგებში 12 ათასი წევრი.

საქ. კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირს არ აქვს ათი წლის ისტორია. მიუხედავად ამისა **ახალგაზრდობის კომუნისტურმა ინტერნაციონალმა ღრმად გაიდგა ფესვები საქართველოში.** და რამდენადაც არ უნდა ეცადონ ჩვენი „ახალგაზრდა მარქსისტები" (?!)—ეს უბადრუკი ხალხი, ჩვენი ხისათვის ტოტების დაჭრას, ისინი მიზანს ვერ მიაღწევენ.

ასეთია ისტორიის ლოღიკა. ეს ხდება იმიტომ, რომ მათი ბატონობის დროს ოდნავადაც ვერ გაუმჯობესდა მუშა ახალგაზრდობის ეკონომიური მდგომარეობა. მაგრამ ეს საარქივო ხალხი მოუწოდებს მთელ საერთაშორისო ახალგაზრდობას დაეხმარონ მორალურად „ბოლშევიკური ტერორისაგან" შეწუხებულ ხალხს. თბილისის მუშა ახალგაზრდობამ ამაზე უპასუხა მათ, რომ ეს ვიგინდარები მათ თვალითაც არ უნახავთ თავის დაზგებთან, ასე რომ ისინი ამით ვერავის მოატყუებენ მით უმეტეს ვერ მოატყუებენ საქართველოს ახალგაზრდობას.

საქართველოს ახალგაზრდობამ იცის მათი „მარქსიზმის" ფასი, აქაც, თავის სახლში, და იქაც დასავლეთ ევროპაში. დადგა მომენტი, როდესაც ყველა ქვეყნის კაპიტალისტები სცდილობენ დაამხონ მუშათა სისხლით მოპოვებული „უფლებები" ბურჟუაზიულ სახელმწიფოს ჩარჩოებში. მე-2 ე ინტერნაციონალის „ოქროპირი" ვანდერველდე, რომელმაც ხელი მოაწერა მონურ ვერსალის ხელშეკრულებას, ...

## პროლეტარული ახალგაზრდობის ეკონომიური მდგომარეობა და მუშათა მთლიანი ფრონტი

...

ჩთელი ქვეყნის მშრომელ ახალგაზრდობისადმი

## საქართველოს ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის

# დეკლარაცია

ამხანაგებო!

იმპერიალისტურმა ომმა და ვერსალის მტაცებლურმა ხელშეკრულებამ ქვეყანა მიიყვანა სრული ქაოსამდის.

მთელი დედა-მიწის სივრცეზე ნადგურდება საწარმოო ძალები და კულტურა. მათი გაუმჯობესება და გამოკეთება არ შეუძლია კაპიტალისტურ ტრესტებს და სინდიკატებს.

ტყუილად სცდილობს ბურჟუაზია შეერთებული ძალით ბრძოლის წარმოებას პროლეტარიატის წინააღმდეგ. ყველა კონგრესები, დაწყებული ვაშინგტონიდან და გათავებული ჰაგით და ლონდონით, ნათლად გვიჩვენებენ კაპიტალისტურ წესწყობილების დაშლას, რომელსაც მოჰყვება მათი საბოლოოთ დაღუპვა.

ბურჟუაზია მთელი თავის ძალ-ღონეს ანდომებს, რათა თავის დაღუპვის წინ ერთხელ კიდევ სცადოს შებრძოლება პროლეტარიატის წინააღმდეგ.

კაპიტალი გადავიდა შეტევაზე.

ლოკაუტები, პოლიცია, ფაშისტები, ორგეში და სხვა—აი ხვედრი მსოფლიოს მუშათა ხალხისა. მე 3 კომუნისტური ინტერნაციონალი შეეცადა შექმნა მუშათა მთლიანი ფრონტი კაპიტალის შემოტევის წინააღმდეგ, მაგრამ საერთაშორისო მენშევიზმმა, მე-2 და 2 ნახევარ ინტერნაციონალებმა, მუდმივმა მტრებმა მუშათა კლასისა, უარყვეს კომინტერნთან ერთად დაეცვათ მუშათა კლასის ინტერესები. მთლიანი მუშათა ფრონტის დაარსება იმათ არ უნდათ. მაგრამ მუშათა კლასი, გარეშე ოპორტუნისტულ ბელადებისა, თავისი კლასიური ინტერესების დასაცავათ ორგანიზაციულად უნდა შეკავშირდეს კაპიტალის შემოტევის წინააღმდეგ. საქართველოს მუშურ-გლეხური ახალგაზრდობა, იმყოფება რა პროლეტარული დიქტატურის პირობებში, იღებს რა მონაწილეობას დანგრეული წარმოების და სასოფლო-მეურნეობის აღორძინებაში, მტკიცედ სდგას თავის მუშათა და გლეხთა ხელისუფლების სადარაჯოზე.

ეკონომიური მდგომარეობა მუშათა ახალგაზრდობის იყო ძლიერ ცუდი და მისი გამოკეთებაზედ მენშევიკები სრულიად არ ზრუნავდნენ.

საბჭოთა ხელისუფლებამ, მოუღო ბოლო ამას. მთელ მსოფლიოს მშრომელ ახალგაზრდობის წინაშე ვაცხადებთ, რომ ჩვენ მზათა ვართ დავეხმაროთ მას საჭიროების დაგვარად, ყველა ჩვენი ახალგაზრდული ძალებით. ჩვენ მოვითხოვთ **მუშათა ახალგაზრდობის საერთაშორისო კონგრესის** დაუყონებლივ მოწვევას პროლეტარიატის მთლიანი ფრონტის შესაქმნელად და გასამაგრებლად.

მეგობრებო! თქვენი უფლებების შენარჩუნებისათვის, მოითხოვეთ მუშათა ახალგაზრდობის საერთაშორისო კონგრესის მოწვევა, რათა საბოლოოთ ჩამოვგლიჯოთ მე-2 და 2 ნახ. ინტერნაციონალს თავისი „სოციალისტური" პირსაფარი.

საქართველოს ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს მთელ მსოფლიოს მშრომელ ახალგაზრდობას, რათა უფრო მჭიდროთ შეკავშირდენ ახალგაზრდათა კომინტერნის გარშემო.

**ძირს კაპიტალისტური ოლიგარხია!**

**ძირს თეთრი ტერორი!**

**გაუმარჯოს მშრომელთა მთლიან ფრონტს!**

**გაუმარჯოს საერთაშორისო პროლეტარულ რევოლიუციას!**

**გაუმარჯოს ახალგაზრდათა კომინტერნს!**

**საქართველოს მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობის სახელით: საქართველოს ახალგაზრდათა კომუნისტური ცენტრალური კომიტეტი, სექცია ახალგაზრდათა კომინტერნისა.**

**საქართველოს საბჭოების ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის სამდივნო**

ამით აცხადებს ყველა ც. ა. კ. წევრთა საყურადღებოთ, რომ პრეზიდიუმის დადგენილების თანახმად სექტემბრის ბოლო რიცხვებში მოწვეულ იქნება

# ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის მორიგი სესია

გახსნის დღე და დღის წესრიგი ცალკე იქნება გამოცხადებული.

ცენტ. აღმასრულებელ კომიტეტის მდივანი: თ. კაკაბაძე.

(251—1—1)

სამშაბათს, 5 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე პროფკავშირთა საბჭოს დიდ დარბაზში გაიმართება

# საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს პლენუმის სხდომა

**დღის წესრიგში:**

1. სავალდებულო კასის შესახებ.
2. კურორტების შესახებ.
3. შეგობის შესახებ.
4. მუშათა სახლების შესახებ.

საქ. პროფკავშირთა საბჭოს პლენუმის ყველა წევრთა დასწრება სავალდებულოა.

(2—1) საქ. პროფკავშირთა საბჭოს სამდივნო.

1921 წელს დეკემბერში, ინგლისში, ახალგაზრდა მუშები 14-დან 18 წლამდის ღებულობდნენ 3 პენს საათში. უფროსი მუშები კი 1 შილინგს საათში. ეს ახალგაზრდები დღეში იმუშავებდნენ 8 საათს და აგრეთვე კვირა დღესაც, რაც ჩვეულებრივი მოვლენა შეიქნა, კვირაში მიიღებდნენ 14 შილინგს, ეს მაშინ, როდესაც მინიმუმი იმისა, რაც აუცილებელი არის ყოველდღიურ მოხმარებისათვის დასაკმაყოფილებლად, ერთი კვირის განმავლობაში აღემატებოდა 35 შილინგს. აქედან ნათელი სჩანს, თუ როგორი არის პროლეტარული ახალგაზრდობის მდგომარეობა ინგლისში, მაგრამ სხვა ქვეყნებში კიდევ მეტი სიმწვავით არსებობს მათი ეკონომიური ექსპლოატაცია. ზემოთ აღნიშნულ მოწოდებაში მოყვანილია მდგომარეობა ავსტრიის მუშათა ახალგაზრდობისა. იქ ნათქვამია შემდეგი: „მოწაფე—მეხანიკე სწავლის მეოთხე წლის ბოლოს, ე. ი. უკვე კვალიფიციური მუშა, მუშის ძალის სრული განვითარებით, ღებულობს წვრილ წარმოებაში 200 და მსხვილ წარმოებებში 500 კრონს. ავსტრიის ახალგაზრდათა კომუნისტურმა კავშირმა გვიჩვენა თავის გაზეთში, რომ ეს სამუშაო ქირა არ არის საკმარისი მარტო იმისათვის, რომ მოკვდეს, რადგან კუბოს ფასს მოწაფე ვერ მიიღებდა თავისი ხელფასით, რამოდენიმე თვეების განმავლობაში".

ასეთი დიდი ჯილდოთი ასაჩუქრებს ავსტრიის ბურჟუაზია—კაპიტალისტური წარმოების ახალგაზრდა მონებს, როგორც ცნობილი არის, პროლეტარულ ახალგაზრდობას, ყველაზედ უფრო მოხერხებულათ ფექსის ხელოსნები იმის მოშიზებით, რომ მათ უნდა ასწავლონ ხელოსნობა, რის გამო მთელი ოთხი წლის განმავლობაში შრომის ქირას მათ არ აძლევენ. ეს ოფიციალური ექსპლოატაცია მუშათა ახალგაზრდობისა დღესაც ფართოთაა გავრცელებული. პატარა მოწაფეები საშინლად იყვლიფებიან.

დანიის მუშათა შორის 28 პროც. ახალგაზრდა მუშებისა, მაგრამ მიუხედავათ იმისა, რომ მათი მნიშვნელობა დიდი არის წარმოებაში, მაინც უმნიშვნელოა მათი ხელფასი.

ისინი ღებულობენ 6 პროცენტი დან 10 პროცენტამდის, უფროს მუშების სამუშაო ქირის 15 პროც.-სა.

„ბერლინში, 1921 წ. აგვისტოში, მოწაფეების სამუშაო ქირას შეადგენდა: მარკა 3 დან 30-დე, ამავე დროს მინიმუმი მიუცილებელ საგნების, ფასისა, უდრიდა 180 მარკას."

„1922 წ. იანვარში, გერმანიაში მუშების სამუშაო ქირა გადიდებული იქნა, ომიდან დაწყებული 8—18 ჯერ, მოწაფეებს, ახალგაზრდა მუშებს კი აძლევენ მხოლოდ 4—6 ჯერ მეტს, ვინემ ეს იყო ომამდის, ცხოვრება კი გაძვირდა 40 ჯერ.

„სამუშაო ქირა ავსტრიის მუშებისა გაიზარდა ომიდან დაწყებული 1922 წ. თებერვლამდის, 450—600 ჯერ, ცხოვრება კი გაძვირდა 1.100 ჯერ, ახალგაზრდა მუშების ხელფასი გაიზარდა 80 ჯერ."

აქ მოყვანილი ციფრები, საუცხოვო ილუსტრაციაა იმისა, თუ როგორ ეკონომიურ მდგომარეობაში იმყოფება ევროპის პროლეტარული ახალგაზრდობა. სამუშაო ქირის შემცირებას, პარალელურად მოყვება სამუშაო დროის გადიდება. არა თუ ექვსი საათის, არამედ რვა საათის სამუშაო დროსაც კი არ არის დღეისათვის. ახალგაზრდების შრომის დაცვა, ცუდ პირობებში იმყოფება, რადგან პროფესიონალური კავშირები ნაკლებათ აერთიანებენ მუშათა ახალგაზრდობას.

ამასთანავე დღითი-დღე იზრდება კადრი, უმუშევარ მუშათა ახალგაზრდობისა, რომლებიც თითქმის არავითარ რეალურ დახმარებას არ ღებულობენ სახელმწიფოსაგან. იმპერიალისტური ომის განმავლობაში, ახალგაზრდა ქალების რაოდენობა წარმოებაში საგრძნობლად გაიზარდა.

**დღეს კი ხდება მათი მასიური დათხოვნა ფაბრიკებიდან, ქარხნებიდან სახელოსნოებიდან. ახალგაზრდა მუშა პროლეტარ ქალებს, რომლებიც ქუჩაში გაისტუმრა კაპიტალმა ათასობით, არა აქვთ არავითარი ეკონომიური სახსარი ცხოვრებისა, გარდა თავიანთი სხეულის. მთელს ევროპის კაპიტალისტურ ქვეყნებში, უმუშევრობის ნიადაგზე, მძვინვარებს საშინელი პროსტიტუცია.** კაპიტალი, როგორც მთელი რიგი წლების განმავლობაში ეკონომიურათ სძარცვავდა მათ, დღეს ქუჩებში გაისტუმრა და ეწევა **მათ სულიერ და ფიზიკურ გახრწნას.**

ეკონომიური მდგომარეობის სიღატაკე, პროლეტარულ ახალგაზრდობას ფიზიკურათ ანადგურებს. ასეთი მდგომარეობით აიხსნება ტუბერკულიოზის განვითარება. „1920 წელს გერმანიაში ოფიციალურათ ითვლებოდა 1.036.000 ბავშვები, რომლებიც დასნეულებულები იყვნენ ტუბერკულიოზით. „ავსტრიაში 1919 წ. ტუბერკულიოზით მოკვდა ახალგაზრდები, **სამჯერ მეტი**, ვინემ 1914 წ."

ასეთი მდგომარეობის გადატანა უხდება საერთაშორისო მუშათა ახალგაზრდობას. თუ ასეთ წერტილამდის არ მიუღწევია ჯერ, პროლეტარული ახალგაზრდობის ეკონომიურ ცხოვრების პირობებს დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში, მას უნდა მოველოდეთ ყოველ დღეობით, იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელი შეიქმა მუშათა მთლიანი ფრონტის შექმნა, კაპიტალის შემოტევის წინააღმდეგ.

**მაშასადამე მუშათა მთლიანი ფრონტის შექმნის აუცილებლობა, გამოწვეული არის მუშათა კლასის ეკონომიურ მდგომარეობისაგან. ყველა მუშების გაერთიანებული ძალით ბრძოლას კაპიტალის შემოტევის წინააღმდეგ, შეუძლია მოიგერიოს მისი თავდასხმა.** მუშათა კლასმა და მათმა პარტიებმა, უნდა იზრუნონ პროლეტარული ახალგაზრდობის გადასარჩენათ და დასახსნელად ბურჟუაზიის კლანჭებისაგან. მეორე ინტერნაციონალის პოლიტიკა დღეს იგივეა, რაც იყო ომის დროს. კოალიცია ბურჟუაზიასთან. ზრუნვა მუშათა კლასის სასარგებლოთ კანონების გატარებისა, მრსებულ სახელმწიფოებრივ ფორმების ხელუხლებლად. მეორე ინტერნაციონალი წინააღმდეგია მუშათა მთლიანი ფრონტის შექმნის რადგან ის შესაძლებელს გახდიდა, ბურჟუაზიის წინააღმდეგ რევოლიუციონური ბრძოლის განვითარებას. **ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლას უფრთხის საერთაშორისო მენშევიზმი.**

2 ნახევარი ინტერნაციონალი, რომელიც სიტყვით მოსხრეა მუშების გაერთიანების, საქმით ხელს უშლის მუშათა მთლიან ფრონტის შექმნას. ის სულ უფრო და უფრო უახლოვდება მეორე ინტერნაციონალს და თავისი მუშაობით იჭერს აქტიურ ბრძოლისაგან იმ მუშებს, რომლებშიც თავიანთ ოპორტუნისტულ ბელადების გარეშე იღებენ მუშათა მთლიანი ფრონტის შექმნის აუცილებლობის აზრს.

იმპერიალისტური ომით გამოწვეულმა კრიზისმა სოციალისტურ მოძრაობაში, თავისი დაღი დაასვა ახალგაზრდათა მოძრაობასაც.

პროლეტარულ ახალგაზრდობას მწვავე ეკონომიური მდგომარეობის წამო ნაკლები შესაძლებლობა აქვს მონაწილეობა მიიღოს ყოველდღიურ პოლიტიკურ ცხოვრებაში. მათ ნაკლები შესაძლებლობა აქვს პოლიტიკური ცოდნის შეძენისა. ამით აიხსნება, ახალგაზრდათა კომინტერნის მოწინააღმდეგე ორგანიზაციების დაარსება ამ უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში, როგორიცაა ახალგაზრდათა საერთაშორისო გაერთიანების ორგანიზაცია ამსტერდამში და ვენაში ახალგაზრდათა 2 ნახევარი ინტერნაციონალი. ეს ინტერნაციონალები შეიქმნენ ოპორტიუნისტული პარტიების თაოსნობით, რომ წინააღმდეგობა გაეწიათ ახალგაზრდათა კომინტერნისთვის, რომელიც ახალგაზრდათა ერთად ერთი რევოლიუციონური ორგანიზაციაა მთელ მსოფლიოში.

ახალგაზრდათა მეორე და ორ ნახევარი ინტერნაციონალი, გაურბის მუშათა მთლიან ფრონტის შექმნას. ისინი, შეერთებულ ძალით ბრძოლას აწარმოებენ ახალგაზრდათა კომინტერნის წინააღმდეგ.

მიუხედავათ 2 და 2 ნახევარ ინტერნაციონალების წინააღმდეგობისა მუშათა მთლიან ფრონტისადმი ის მაინც შეიქმნება, რადგან მათზედ უფრო ძლიერი გავლენა აქვს იმ ობიექტიურ პირობებს, რომლის ზეგავლენითაც არის გამოწვეული მთლიანი ფრონტის შექმნის აუცილებლობა. ამის მაგალითი მრავალია. ახალგაზრდათა კომინტერნი, რომელიც მთელ მსოფლიოში ახალგაზრდათა ყველა სხვა ორგანიზაციებზედ ძლიერი არის, მხარს უჭერს მესამე ინტერნაციონალს მთლიანი ფრონტის შექმნაში. ეჭვს გარეშეა, რომ მას შეუძლია ამ საქმეში უდიდესი როლი შეასრულოს.

ახალგაზრდათა კომუნისტურმა კავშირებმა, გერმანიაში, შვეციაში, ჩეხოსლოვაკიაში, დანიაში, იტალიაში და სხ. შესძლეს ყველა ახალგაზრდა მუშების გამოყვანა თავიანთ კლასიურ ინტერესების დასაცავათ. 1922 წ. გერმანიაში, კომუნისტური კავშირის ინიციატივით მოხდა გამოსვლები სხვა ორგანიზაციასთან ერთად წინააღმდეგ 55 საათის სამუშაო დროისა კვირაში.

ასეთი ერთიანი გამოსვლები იყო მუშათა ახალგაზრდობის ჩეხოსლოვაკიაში, ორი კვირის შვებულების მოთხოვნის ლოზუნგით.

**ყოველივე ეს დამამტკიცებელია იმისა, რომ მუშათა მთლიანი ფრონტი არსდება მეორე და ორნახევარ ინტერნაციონალის ოპორტუნისტულ ბელადების გარეშე.** მესამე კომინტერნის მოწოდება, „**მთლიანი მუშათა ფრონტის შექმნა არა ზევიდან არამედ დაბლა ფენებიდან**"—**ხორციელდება.**

მუშათა საერთაშორისო ახალგაზრდობა დღეს, 3 სექტემბრის დღესასწაულით, ახალგაზრდათა კომინტერნის ინიციატივით, პრაქტიკულ ნაბიჯს დგამს, მუშათა მთლიან ფრონტის დასაარსებლად. ახალგაზრდათა საერთაშორისო დღე, მძლავრი ლახვარია 2 და 2 ნახევარი ინტერნაციონალისათვის.

**გაუმარჯოს მუშათა მთლიან ფრონტს!**

**გაუმარჯოს პროლეტარულ ახალგაზრდობის რევოლიუციონურ ბრძოლას კაპიტალიზმის წინააღმდეგ!**

**გაუმარჯოს ახალგაზრდათა საერთაშორისო დღეს, 3 სექტემბერს!**

ქ. გორდელაძე.

# 12-დან 12000-მდე

ახალგაზრდობის რევოლიუციონური კავშირი, რომელსაც ამ ჟამად ეწოდება კომუნისტური კავშირი დაარსდა საქართველოში, თბილისში 1917 წელს, თითქმის მაშინვე თებერვლის რევოლიუციის შემდეგ. მუშა ახალგაზრდობის ჯგუფი დაახლოებით 10—12 კაცისაგან შემდგარი გაერთიანდა ინტერნაციონალურ ორგანიზაციაში, რომელსაც ეხლა ეწოდება „სპარტაკი".

ერთსა და იმავე დროს დაარსდა ორგანიზაცია დასავლეთ საქართველოში—ქუთაისში. ცენტრალურ გამაერთიანებელ როლს მაშინ თამაშობდენ ამხ. ამასი, მიკოიანი, ჩიხლაძე, იოანნიდი და სხვები.

მიუხედავად მუშაობის მეტად მძიმე პირობებისა, ორგანიზაცია უფრო და უფრო ფართოვდება და იზიდავს თავის რიგებში მუშა-გლეხებთან ერთად—მოსწავლე ახალგაზრდობას. მაგრამ შემთხვევებიდან მოგვრიდან დევნის გამო, ორგანიზაციის მთლიანობა ირღვეოდა, მხოლოდ ცალკე ჯგუფები განაგრძობენ მუშაობას. გეგმაშეწყობილი მუშაობა იწყება 1918 წელს. ამ დროს სპარტაკის ორგანიზაცია ქუთაისის სცემს გაზეთს „მე-3 ინტერნაციონალი" და შემდეგ „ახალგაზრდა კომუნისტს". თანდათან 1918 წლის ბოლოში ისახება და მტკიცდება ორგანიზაციები ლანჩხუთში, ხაშურში და სხვა მაზრებში, რომელიც ურთდება სპარტაკის საერთო ოჯახს. ორგანიზაცია ამგვარად სწრაფად ვითარდება და ბოლოს საქართველოს მთელ ახალგაზრდობაში უფრო და უფრო მეტ სიმპატიებს.

1919 წელში აუცილებლობა მოითხოვს ახალგაზრდობის ერთგვარ ორგანიზაციების მჭიდრო კავშირს მეზობელ რესპუბლიკებში,—სწორ იყო ახალგაზრდობის ინტერნაციონალური კავშირი ბაქოში და ახალგაზრდა კომუნისტების ორგანიზაციის სამხრეთში და საქართველოში.

ეს გაერთიანება ხდება ამიერ-კავკასიის ყრილობაზე ბაქოში, 1919 წ. 9 სექტემბერს, როდესაც დაარსდა კავშირი რომელიც ჩამოყალიბდა „რუსეთის კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირის ამიერ-კავკასიის ორგანიზაციაში". ყრილობაზე გამოყოფილ იქნა საოლქო კომიტეტი, რომლისაგანაც მოეწყო ორი ბიურო: სომხეთის და საქართველოსთვის ერთის მხრივ და ბაქოსა და დაღესტნისათვის მეორეს მხრივ.

19 წლის აჯანყება საქართველოში მოულოდნელად უსწრებს ორგანიზაციას. სასტიკი რეპრესიებისა და დევნის გამო ჩაიშალა კომკავშირის, ხოლო ორგანიზაცია, რომელსაც ჰყავდა 300-დე წევრი. დაპატიმრებულ იქნენ კავშირის ხელმძღვანელები—გაიოზ დევდარიანი, ბ. ძნელაძე, სტ. ვარდანიანი და სხვები., მაგრამ მათი ციხიდან გამოსვლის შემდეგ ორგანიზაცია კიდევ უფრო ძლიერი ხდება. 1920 წლისათვის მთელ საქართველოში ითვლება 20 ორგანიზაცია, რომელსაც ჰყავს 3000 წევრი.

ეს ხანა არის ახალ გაზრდობის კომკავშირის გაფურჩქვნის ხანა, ვინაიდან იგი იღებს მონაწილეობას მუშათა ცხოვრებაში. საქართველოს კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირი თამაშობს ხელმძღვანელ როლს აჯანყებათა ორგანიზაციაში, იარაღის მომარაგებისა და რაზმების შედგენის საქმეში. ყველა პროკლამაციები და ლიტერატურა, რომელსაც სცემს რუსეთის კომპარტია, ამიერ კავკასიის კომიტეტი ვრცელდება კომუნისტურ ახალგაზრდობის საშუალებით, კავშირს აქვს შტაბი და ჰყავს რაზმები ათი კაცისაგან შემდგარი (სულ იყო 30 რაზმი).

რუსეთისა და საქართველოს შორის სამშვიდობო ხელშეკრულების დადების შემდეგ, კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირი ამიერ-კავკასიის ორგანიზაციიდან აწარმოებს მუშაობას ადგილობრივ რესპუბლიკური ჩარჩოებში.

საქართველოში ცხადდება საქართველოს კომპარტიის და კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირის ლეგალიზაცია, თუმცა ხელმძღვანელი წევრებმა ამას სკეპტიკურად შეხედეს, მაგრამ მუშაობა თვალსაჩინოთ გაიზარდა, ეხლა ორგანიზაცია კიდევ უფრო გაფართოვდა. გამოდის გაზეთი „ახალგაზრდა პროლეტარი", რომელიც მე 6 ნომრის გამოსვლის შემდეგ დაიხურა.

საქართველო გზავნის თავის დელეგატებს საქ. კომ. ახალგაზრ. კავშირიდან კომინტერნის მე-2-ე კონგრესზე.

იწვევენ კომ. ახალგ. კავშირის ლეგალურ ყრილობას, რომელიც მთავრობის ნებართვის მიუხედავათ, გარეკილი იქნა. 42 დელეგატიდან უმრავლესობა დააპატიმრეს, დანარჩენი ნაწილი გადაასახლეს. მაგრამ ყრილობამ, მოელოდა რა გარეკას, ჯერ კიდევ არა ოფიციალურ სხდომამდე აირჩია ცენტრალური კომიტეტი.

შემდეგ იხსნება ორგანიზაციები აბხაზეთში და საქართველოს სხვა ცენტრებში. საქ. კომ. ახალგაზრდობის კავშირს ჰყავს ამ დროს უკვე 5000 წევრი.

იწყება ახალი სეპრესიები, დევნა, დაპატიმრება და გადასახლება, რაც აიძულებს კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირს ხელმეორედ 20 წლის სექტემბერში აწარმოვოს მუშაობა იატაკ-ქვეშ. მით უმეტეს, რომ პარტია იქნა დარბეული. ამ დროს გამოდის ჟურნალი „ოქტომბრის დიდი რევოლიუცია", ოქტომბრის რევოლიუციის ხსოვნის აღსანიშნავად რომლის გავრცელებამ ითამაშა დიდი სააგიტაციო როლი.

26 ნოემბერს მომავალი მოქმედების პროგრამის შესამუშავებლად იწვევენ მეორე არალეგალურ ყრილობას, რომელმაც მთავარ გადაწყვეტილებას საფუძვლად დაუდო ყველა ძალების გამოყენების აუცილებლობა პარტიის აღსადგენად.

1921 წლის დასაწყისში, წითელი ჯარების შემოტევის დროს კავშირი იღებს მხურვალე მონაწილეობას მენშევიკურ ჯარებს შორის აგიტაციის წარმოებაში და აღწევს დიდ წარმატებას, მიუხედავად მრავალ დაპატიმრებათა. არმიაში ვრცელდება პროკლამაციები.

საბჭოთა წესწყობილების დამყარების შემდეგ, როდესაც საქ. ახალგაზრდობის კავშირმა გამოიჩინა ნამდვილი სახე, ორგანიზაცია სწრაფად ფართოვდება მოძრაობაში ღებულობს მონაწილეობას აქამდე მივიწყებული ახალქალაქის და თიონეთის მაზრები.

1921 წლის აგვისტოში იკრიბება პირველი ლეგალური ყრილობა, კომ. ახალგაზრდობისა, რომელსაც ამ დროს ჰყავდა 12000 კაცი.

ვინაიდან კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირს დიდძალი ახალგაზრდობა ეტანებოდა, რომელთა შორის არასასურველმა ელემენტებმა მოიყარეს თავი, კავშირი იძულებული შეიქნა მოეხდინა გაწმენდა, რის შემდეგ კავშირში დარჩა 8.000 ნამდვილი წევრი და 2000 კანდიდატი.

21 წლის დეკემბრიდან მთელ რიგ საგარეო პირობების გამო, კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირი განიცდის ორი თვის კრიზისს და დაშლას. მაგრამ იანვრიდან ეკონომიურ მუშაობის განვითარების გამო ორგანიზაციამ იწყო აღორძინება. 2 ყრილობისათვის აგრეთვე დიდძალი წევრების თავის მოყრის გამო, კავშირში შესვლა იზღუდება, იღებენ მხოლოდ მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობას.

გამოდის „ცენტრალურ და თბილისის კომიტეტების ფურცელი", ჟურნალი „მომავალი", ამჟამად ორკვირეული მასიური გაზეთი „სპარტაკი", მთელი რიგი ბროშიურების და სახელმძღვანელოებისა, პროვინციაში—„ფურცლები".

საქართველოს კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირის ხვედრი წონა აყვანილია მაქსიმუმამდე და ორგანიზაცია უპარტიო მასებს შორის სულ უფრო და უფრო მეტი ავტორიტეტით სარგებლობს.

ახალგაზრდა კომუნისტი.

—

**საქართველოს კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირის დამაარსებელნი და ხელმძღვანელნი.**

გაიოზ დევდარიანი, სტეფანე ვარდონიანი, ბორის ძნელაძე, იოანნიდი, ამასი, კოლია ცინცაძე, სიმონ ჩიხლაძე, შალიკო ოკუჯავა, ვოსკანიანი, იაშა ოკოევი (სპარტაკელი). ყველა დასახელებული ამხანაგები მუშაობდენ მათი „სულიერი მამის"—მიხა ცხაკაიას ხელმძღვანელობით, რომელიც ამ ჟამად არის საქართველოს წარმომადგენელი საბჭოთა რუსეთში.

**საქართველოს კომუნისტ. ახალგაზრდობის კავშირის ხელმძღვანელი ორგანოები.**

**სპარტაკის პირველი კომიტეტი** თბილისში, რომელიც არჩეულია საორგანიზაციო კრების მიერ ნაძალადევში 1917 წელს: პრეზიდიუმში არიან: იოანნიდი, ამასი და ბ. ძნელაძე, კომიტეტის წევრები: ვასკანიანი, იაშა ოკოევი. ამბო, იშხანოვი, გ. ცუბანოვი და სტ. ვარდანიანი.

1918 და 1919 წლ. დასაწყისში: **ამიერ კავკასიის ორგანიზაციის დროებითი ცენტრალური კომიტეტი.**

საქართველოდან: ამასი, ძნელაძე.

**საოლქო კომიტეტ. თბილის. ბიუროს შემადგენლობა:**

ვარდანიანი, ძნელაძე, ამასი და ციხიდან განთავისუფლების შემდეგ გაიოზ დევდარიანი.

**დროებითი ცენტრალური კომიტეტი ლეგალიზაციის შემდეგ:**

ვარდანიანი, ძნელაძე, ამასი, გაიოზ დევდარიანი, მ. ცაგარეიშვილი. ჩიხლაძე, იმედაძე, მ. ოკუჯავა, ადამაძე.

**მეორე ყრილობის ცენტრალური კომიტეტში:**

იგივენი გარდა ჩიხლაძისა.

ცენტრალურ კომიტეტის პასუხისმგებელი **მდივნები** საქართველოში საბჭოთა წესწყობილების დამყარების შემდეგ: ამასი, ბ. ძნელაძე და გაიოზ დევდარიანი (ეხლანდელი ც. კ).

**როგორ იბრძოდენ საქართველოს კომუნისტური ახალგაზრდები.**

„სპარტაკის" დაარსებიდან საქართველოში საბჭოთა წესწყობილების დამყარებამდე, გარდა ცემა ტყეპისა, გადასახლებისა და დაპატიმრებისა, საქ. კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირის წევრებისადმი ხმარობდენ დახვრეტას.

აი ცნობებიც:

1919 წელში ოზურგეთში მომხდარ აჯანყების დროს მენშევიკებმა დახვრიტეს 5 კაცი.

ბათუმში 2 ინტერნაციონალის დელეგატების ჩამოსვლის დროს, იმ ამხანაგებმა, რომელთაც გადაჰყარეს პროკლამაციები, სცემეს გრძნობის დაკარგვამდე და ზოგიერთები დასჭრეს. კუნძულ მალტაზე გადაასახლეს 3 კაცი.

ხაშურში იმავე წელში დახვრიტეს 2 კაცი. ლაგოდეხში—2 კაცი.

1920 წელს: სამხედრო სასწავლებელში აჯანყების დროს დახვრიტეს 3 კაცი. სამხრეთ ოსეთში—5 კაცი.

ჯარების უკანდახევის დროს ხაშურში მხეცურად დახვრეტილ იქნა ამხ. ამაინძე, დააპატიმრეს 40 კაცი. 1 მაისს, სასტიკად სცემეს ვინტოვკის კონდახებით და მაუზერებით 22 კაცს.

**ასე ებრძოდა მენშევიკური მთავრობა კომუნისტურ ახალგაზრდობის რევოლიუციონურ მოძრაობას.**

# ქრონიკა

◆ **შრომის ბაზრის განყოფილების რეორგანიზაცია.** პირველ სექტემბრიდან შრომის ბაზრის განყოფილება გადაკეთებულია რესპუბლიკის მასშტაბით შრომის ცენტრალურ ბიროდ განყოფილებებით ადგილობრივ და სხვა ქალაქებში.

◆ **ჟურნალისტთა შორის.** ჟურნალისტთა ცების ბიუროს საორგანიზაციო სხდომაზე არჩეულ იქნა პრეზიდიუმი, ამხ. იონისიანი და მდ. კრიტკოფი. შემადგენლობით, საქმეების მართველად მოწვეულია ამხ. ფლამი, რომელსაც უნდა მიმართონ ცების წევრებმა კავშირის საქმეების შესახებ ოთახში № 35.

◆ **უმუშევართა საყურადღებოდ.** კომისია, რომელიც ანთავისუფლებს უმუშევართ შრომის და ტვირთზიდვის ხარკისაგან, აწარმოებს მოწმობების გაცემას ყოველდღე ხუთი საათიდან საღამოს რვა საათამდე. გაცემის უკანასკნელი ვადათ 5 სექტემბერი ითვლება. აღნიშნულ ვადის შემდეგ მოწმობების გაცემა შეწყვეტილ იქნება. კომისია იხილავს მხოლოდ იმათ თხოვნებს განთავისუფლების შესახებ, ვინც რეგისტრაციაში გატარებულია პირველ სექტემბრამდე, აღნიშნული დროს შემდეგ გატარებულნი რეგისტრაციაში არ თავისუფლდებიან სრულებით.

# რადიო-დეპეშები

(„კავროსტა")

## გერმანია და ანტანტა

**ბორდო.** 1 სექტ. საკონტრიბუციო კომისიის თავმჯდომარემ დიუბიდამ განაცხადა, რომ თუ გერმანია უარს იტყვის გარანტიების მიცემაზე, საკონტრიბუციო კომისია ამას აშკარა განდგომის სურვილად ჩასთვალოს. ბელგიის წინადადება სცდილობს შექმნას ისეთი მდგომარეობა, რომ შესაძლებელი გახდეს დამშვიდებულად განხილვა გერმანიის საკონტრიბუციო და მოკავშირეთა ვალების საკითხისა.

**მოლოდინში.**

**პანთეონი.** 31 აგვისტო. საკონტრიბუციო კომისიის გადაწყვეტილების გამოტანას ამ საღამოს მოელიან ლონდონიდან და პარიზიდან მიღებული ცნობები სანუგეშო არ არის, მაგრამ გადაჭრილი პასუხი ჯერ არ მოსულა. გერმანიის საზოგადოებრივი აზრი დარწმუნებულია, რომ გერმანის მთავრობამ მიიღო ყოველგვარი ზომები საკითხის მოსაგვარებლად და თუ საკონტრიბუციო კომისია მაინც უარყოფს გერმანიის წინადადებას, აშკარა გახდება, რომ კომისიის წევრებს არ ქონიათ სურვილი საკონტრიბუციო საკითხის მოგვარებისა.

**საკონტრიბუციო კომისიის დადგენილება.**

**კრაუდენი.** 1 სექტ. საკონტრიბუციო კომისაამ გუშინდელ სხდომაზე 2 ხმის უმრავლესობით დაადგინა. გერმანიის თხოვნა ყოველგვარ პირობების გარეშე მისთვის მარატორიუმის მინიჭების შესახებ უარყოფილ იქნეს. ერთხმად მიღებულია დადგენილება გერმანიის გადასახადების შესახებ, რომელიც ერგება ბელგიას, ხოლო გერმანიის კონტრიბუციის იმ ნაწილის შესახებ, რომელიც ერგება საფრანგეთს, ჯერ გადაწყვეტილი არ არის. უკანასკნელ საკითხს დღეს განიხილავს საფრანგეთის კაბინეტი.

**პასუხი გადაეცა გერმანიას**

**ბორდო.** 1 სექტემბერი. გუშინ საღამოს საკონტრიბუციო კომისიამ გადასცა თავისი პასუხი გერმანიის მთავრობას.

**ბერლინის თათბირი.**

**ბორდო.** 1 სექტემბერი. კანცლერ ვირტს ქონდა თათბირი პარტიების ლიდერებთან, იმ ზომების შესახებ, რომელიც უნდა იქნეს მიღებული საკონტრიბუციო საკითხის მოსაგვარებლად.

**საფრანგეთის კაბინეტის სხდომა.**

**ბორდო.** 1 სექტემბერი. დღეს საფრანგეთის კაბინეტი მილერანის თავმჯდომარეობით განიხილავს საკონტრიბუციო საკითხს და მომავალ მოქმედების გეგმას.

# კაპიტალიზმის სამეფოებში

## ამერიკა.

**საოკუპაციო არმიის გადიდება**

**ნაუენი.** 1 სექტემბერი. ფრანგული პრესა იუწყება, რომ შეერთებულ შტატების მთავრობებს განზრახული აქვთ გააძლიერონ საოკუპაციო ჯარები ევროპაში.

**სიტყვა და საქმე**

**ბორდო.** 1 სექტემბერი. შეერთებულმა შტატებმა აცნობეს ერთა ლიგასთან არსებულ განიარაღების კომისიას, რომ ისინი უარს ამბობენ სენ-ჟერმენში დადებულ კონვენციაზე განიარაღების შესახებ, მაგრამ მხარს დაუჭერენ ახალ საერთაშორისო კონვენციის დადებას ამავე საკითხის შესახებ.

# პასუხათ ბ-ნ მაქს—იმეს

(წერილი რედაქციის მიმართ)

ამხ. რედაქტორო!

ნება მიბოძეთ გაზ. „კომუნისტი-"ს საშუალებით ვუპასუხო ბატონ მაქს-იმეს, რომელმაც გაზეთ „ტრიბუნის" მე 278-ში მოათავსა ჭორებით სავსე წერილი ქალ. თბილისისა და მისი მაზრის სამხედრო კომისარიატზე.*)

მე მინდა ცალ ცალკე მოვიყვანო მისი წერილის მუხლები და გავსცე მათზე პასუხი.

ბ. მაქს იმე იწყებს თავის წერილს ასე:

„დახელოვნებული გრიქუროვი, დღეს გრიქურაშვილათ წოდებული, დაეძებს სამსახურში მისაღებათ ლამაზ ქალებს, ამსახურებს ერთ თვიდან ორ თვემდე და, თუ მისი საკბილო არ გახდება, ქუჩაში გაისვრის, როგორც არა საიმედო პიროვნებას-"ო.

პირველ ორ სიტყვებს:, გრიქუროვი დღეს გრიქურაშვილათ წოდებული," უდის მოშხამული ნაციონალისტური სული. არსებითად კი ვუპასუხებ ბატონ მაქს-იმეს, რომ სამხედრო კომისარიატს სათავეში უდგანვარ მე როგორც სამხედრო კომისარი, და მიღება დათხოვნის საქმე ჩემ კომპეტენციაში შედის, ამიტომ გრიქურაშვილს არც ერთი თანამშრომელი არ მიუღია და არც დაუთხოვია, გარდა ამისა **ყოველი მიღება-დათხოვა ხდებოდა და ხდება** (მიუხედავათ იმისა რომ ეს ჩემს უფლებაში შედის) **კომიაჩეიკის თანხმობით და დადგენილებით.**

„იგივე პიროვნება სწერს: ბატონი მაქს-იმე წითელ არმიელების ულუფას თითქმის ყოველ დღე მოსამსახურის ხელით გზავნის სახლში"-ო.

ბატ. მაქს—იმე ნუ თუ დაგვიწყდა რომ კომისარიატი იღებს განსაზღვრულ ულუფას, ესე—იგი იმდენს, რამდენიც წითელი არმიელიც გვყავს და ეს ულუფა იმავე დღეს რიგდება ჟურნალის საშუალებით, რომელშიაც მიმღებს ხელი აქვს მოწერილი.

მაქს—იმე განაგრძობს:

„ეხლანდელი გაკომუნისტებული ჩიქოვანი—მოლარე ღებულობს მოსამსახურეთა დასარიგებლათ 29 მილიონს, აცხადებს და არიგებს 20 მილ. თუმცა კომისარს ბრძანებაში 29 მილ. გაუტარებია, მაგრამ რაზედი ეწია 9 მილ.—ეს მხოლოთ ჩიქოვანის და გრიქუროვის საიდუმლოებას შეადგენს"-ო.

როგორ მწუხარებით იხსენიებს ბ. „მაქს იმე" ჩიქოვანის გაკომუნისტებას; მაგრამ არა, ბ-ნო მაქსიმე! ჩიქოვანი კომუნისტი არ არის და არც ყოფილა და არც ახ. კომკავშირიდან არის როგორც თქვენ იხსენიებთ, ვინაიდან ის უკვე 30 წლის არის.

თქვენ სწერთ, რომ მიგვეღია 29 მილ. ბრძანებაში გაგვიტარებია 29 მილ., დაგვირიგებია 20 მილ, და არ იცით რა ბედი ეწია 9 მილ.?!

თუ ბრძანებაში და შემოსავლის წიგნში ჩაიწერა 29 მილ. და ოფიციალური მხარე შესრულდა, გეკითხებით თქვენვე: სად იქნება 9 მილიონი?

როცა ჯამაგირები მოდის მათ მოჰყვება ორი ფურცელი: სია ჯამაგირებისა, ფული ტარდება ბრძანებაში, მერე ურიგდება თანამშრომელთ და გამოიწერება იმავე ბრძანებით დახარჯულათ. სიები ხელმოწერილი ერთი ცალი მიდის იქ საიდგნაც იქნა მიღებული ფული, მეორე კი რჩება კომისარიატში თვიური სარევიზიო კომისიისთვის წარსადგენათ. აბა მითხარით რომელ 9 მილ. გაქვთ ეხლა ლაპარაკი? უმჯობესი იქნებოდა დაგეწერა, რაც სინამდვილე იყო.

როდესაც ამხ. ჩიქოვანმა მოიტანა 29 მილ., მე გავატარე ის ბრძანებაში შემოსულათ, ამავე დღეს ჩვენ უნდა მიგვეღო 8 მილ. კომისარიატის საკანცელიარო ნივთების სასყიდლათ და ორი ამხანაგის მივლინებაში გასაგზავნათ, და ვინაიდგან 8 მილ. ვერ მივიღეთ მე ვუბრძანე მოლარეს 29 მილიონიდგან დაერიგებინა იმათთვის, ვისაც მეტი გაჭირვება აქვს 20 მილ., მხოლოდ 9 მილიონი დაეტოვებია სალაროში რომ სასწრაფო შემთხვევისათვის სალარო ცარიელი არ ყოფილიყო. ასეც მოხდა შტაბის უფროსს, ამხ. გედევანიშვილთან, პირადი შეთანხმებით.

5 დღის შემდეგ ფული იქნა დარიგებული კუთვნილებისამებრ.

*) ჩვენ მივიღეთ ორი საპროტესტო წერილი მოქ. მაქს-იმეს და გაზ. „ტრიბუნის" წინააღმდეგ; წერილებს დავბეჭდავთ (დღეს ადგილობის გამო) შემდეგ №-ში.

„იხარჯება და იფლანგება თანამშრომლების ფულები"-ო, მოსთქვამს მაქსიმე.

მკითხველმა განსაჯოს, როგორ შეუძლია ან შეეძლო ამხ. ჩიქოვანს ან გრიქურაშვილს გაფლანგოს ფულები, როცა ჩვენ ვღებულობთ დიდის ვაივაგლახით მხოლოდ ჯამაგირს, (თუ მხედველობაში არ მივიღებთ თვიურათ 2—3 მილიონ საკანცელიარო ხარჯების ფულს) და რასაც იმავე დღეს ვარიგებთ და საბუთებს უკან ვგზავნით.

ქვევით მაქსიმე ილოდებს ვიღაც ავათმყოფს მგალობლიშვილის დედას რომელიც ვითომ კომისარიატის კარებთან იდგეს; დიდათ პატივცემული მოქალაქე მგალობლიშვილო, კითილ ინებეთ და აღიარეთ სინამდვილე, მე კი ჩემის მხრივ ამ საქმეს გამოვიტან თავის დროზე სასამართლოში.

ბ-ნი მაქსიმე განაგრძობს ქვევით: „საყოველთაო სამხ. სწავ. მოსამსახ. რაკი თავის დროზე არ ეძლეოდათ ჯამაგირები და მათ ხვედრ ფულს ჩიქოვანის ხელში გზა და გზა აკლდებოდა, ამავე კომისარიატის კულტპროსვეტმა განიზრახა სეირნობასაღამოს მოწყობა. შემოსავალი 20 მილ. უდრიდა, მაგრამ ორფეხა თაგვები ამ შემოსავალსაც გაუჩნდა და გარდა იმისა რაც დაიხარჯა რესტორან „ქიზნში" დღესაც არავინ იცის, გარდა ორიოდე შინაურებისა, სად ინახება ეს ფული".

იმის შესახებ თუ როგორ აკლდებოდა გზაში ჩიქოვანს ფული, ამაზე ჩვენ რევტრიბუნალში მოვილაპარაკებთ, ბ-ნო მაქსიმე. მაგრამ ეხლა გეკითხებით რა საერთო ქონდა კომისარიატს აღნიშნულ სეირნობასთან ან „კულტპროსვეტთან", იმას ხომ მისი თავმჯდომარე ყავდა და გამგეობა ერთი. მეორე, „კულტპროსვეტს" სრულებით არ გაუმართავს ის საღამო, არამედ მოაწყო კობახიძემ, ჯგერენაიამ და სხვ., საყოველთაო სამხ. სწავლების სახელით. ვსთქვათ, რომ გაფლანგეს. სად ბრძანდებოდით დღემდის, ბ-ნო მაქსიმე, რატომ არ შედით ერთხელ მაინც „კულტპროსვეტში" და არ მოსთხოვეთ ანგარიში? ან და რას იზამთ მაშინ გაფლანგული რომ არ გამოდგეს არც ერთი გროში?

მე ჩემის მხრივ წინადადებას ვაძლევ ვისაც ეს შეეხება, აღნიშნული ანგარიშები გამოაქვეყნონ გაზეთში რომ მაქსიმემ საკადრისი პასუხი მიიღოს.

ეხლა მკითხველო შეუდგეთ იმის გარჩევას, თუ ვინ ბრძანდება ბ-ნი მაქსიმე, ვის ქურქშია გახვეული და ვის ინტერესებს იცავს ის. იქნებ მართლა ჩვენ კომუნისტებზე უფრო შესტკივა გული მშრომელ უდანაშაულო დასჯილ ხალხზე და ჩვენ კი ვერ ვგრძნობთ ამას.

„ისიც მართალია, რომ ბლოკისტებს თავისი ნამოქმედარი არ გამოუღიავნებოდათ და პირველი ხელიდან არ გამოსცლოდათ საუკეთესო ენერგიული და საქმის მცოდნენი გააძევეს სამსახურიდან და ზოგიერთი მეტეხის ციხეში მიაბრძანეს"-ო და მოყავს შემდეგი სია ამ პირთა: კორინთელი, ინდუაშვილი, ვაჩნაძე, ბაძღუა, ხუბულავა, ლაფერაშვილი, ზენაიშვილი, აკოპოვისა, კატერინა, ჯაყელი, ჟღენტი, აიდინოვი და ებრაელიძესაც მალე ამოუკვეთენ ფეხს"-ო.

აი ვისი დამცველი გახლავთ ბ-ნი მაქსიმე. შევჩერდეთ ეხლა ამ პირებზე სათითაოდ.

1) კორინთელი—ყოფილი პოლკოვნიკი, მისი ბრალდებები იყო: ა) საბოტაჟის გაწევა პირველ მაისს როდესაც სამხ. კომისარიატის დასი მიემგზავრებოდა ს. ავჭალაში წარმოდგენის მოსაწყობათ ამ. ჯაყელის რეჟისორობით და საღამოს ჩაშლა; ბ) მთავარ შტაბიდან დანიშნულმა რევიზიამ სამკომის, ამხ. ჟღენტის თავმჯდომარეობით, აღმოუჩინა მთელი უწესრიგობა სამნეო ნაწილში და ბოროტმოქმედება; გ) მთავარ შტაბთან შემდგარმა საფილტრაციო კომისიამ ის დაითხოვა, როგორც არასაიმედო პიროვნება (ბრძანება სახ. სამხ. კომ. №№ 58 და 157).

2) ინდუაშვილი, მართალია, იყო საიმედო პიროვნება, მაგრამ რევიზიამ ვერ ნახა ის შესაფერი თავის-დანიშნულებაზედ, როგორც მოხუცი, მიუხედავათ ჩემი შუამდგომლობისა, და შტაბისავე ბრძანებით იქნა დათხოვნილი (№ 157).

3) ვაჩნაძე მსახურობდა სამხედრო ხელმძღვანელათ, ასეთი თანამდებობა მოიხსნა და მის ნაცვლად დამინიშნეს თანაშემწე. ამხ. ვაჩნაძემ სამწუხაროთ თვითონ განაცხადა უარი და მთხოვა მიმეცა მისთვინ რაიმე იოლი თანამდებობა, მეც ის დავნიშნე რაიონის რწმუნებულათ, მაგრამ იქიდგანაც უფრო შესაფერი ადგილი იშოვნა და წავიდა სოფელში.

4) ბაძღუა. საფილტრაციო კომისიამ მთავარ შტაბიდგან ის გააძევა, მოწერილობა № 113 ор. ის დათხოვნილი იქმნა იმავე დროს სახ. სამხ. საზღვაო კომისარიატის მიერ, მაგრამ, გადაყენებამდე, ის, 23 მაისს, იქნა შეპყრობილი ღამით, საწინააღმდეგო პროკლამაციებით, საგანგებო კომისიის მიერ და ამ ჟამათ იმყოფება ციხეში.

5) ხუბულავა ბაძღუასთან ერთად იქმნა დაპატიმრებული საგანგ. კომისიიდან, 23 მაისს. ისიც ციხეშია.

6) ლაფერაშვილი, რომელიც არ გამოცხადდა სამსახურში 24—25 მაისს და იღებდა მონაწილეობას გამოსვლებში, იქნა დათხოვნილი საფილტრაციო კომისიის მიერ და შემდეგ დაპატიმრებული.

7) ზენაიშვილი იქნა დათხოვნილი სამხ. კომისარიატის მიერ. 23 მაისს იღებდა მონაწილეობას გამოსვლებში და იქნა დაპატიმრებული საგანგებო კომისიის მიერ.

8) აკოპოვა გავიდა თავის ნებით.

9) კატინა გავიდა თავის ნებით.

10) ჯაყელი ირიცხებოდა გადამწერის თანამდებობაზე და ასრულებდა რეჟისორობის როლს დასში, მაგრამ, ვინაიდან შტატი შემცირდა და განყოფილებაში ერთი გადამწერი დარჩა, ალ. ჯაყელმა არ ისურვა აღნიშნულ თანამდებობაზედ დარჩენა და გავიდა სამსახურიდან.

11) ჟღენტი იქნა გადაყენებული დროებით მისი საქმის გამოძიებამდე.

12. აიდინოვი (კომუნისტი), დღე თვითონ აღიაროს რატომ გავიდა სამსახურიდან. რაც შეეხება ებრაელიძეს იმის დათხოვნა არავის უფიქრია. ეხლა მკითხველი გაიგებს ვისზე მოსთქვამს ბ-ნი მაქსიმე. აი რა კაცი აჩენს გულშემატკივრობას წითელარმიელებზე.

რაც შეეხება ჯამაგირებს, ალ. ჯაყელმა თავის კუთვნილი ჯამაგირი კომისარიატიდან მიიღო, მხოლოდ თუ რაიმე პროცენტებ. ეკუთვნის მას კულტპროსვეტიდან—ეს ჯაყელის და კულტპროსვეტის საქმეა და არა კომისარიატის.

დაბოლოს ბ. მაქსიმე უსაყვედურებს იმ ფრონტს, რომელსაც ზღვით იცავდა, რომ „დამუშავებული ბაღიდან და სათესლე 4 მილიონი ფუთიდან ერთი გირვანქა კარტოფილი გამომიგზავნეო". ბ ნო მაქსიმე, მართალია ძველ დროში შეიძლება იყავით შეჩვეული სხვისი ნაშრომის მიღებას, მაგრამ ეხლა რომელ კარტოფილს თხოულობთ, რომელ ბაღში გიმუშავიათ, მიგვითითე მაინც.

ეხლა შევეხოთ თქვენ მეორე წერილს, რომელიც მოთავსებულია „ტრიბუნის" № 280-ში, პირველ წერილში თქვენ ბოროტმოქმედის სკამზედ დასვით „გაკომუნისტებული" ჩიქოვანი, მხოლოდ მეორეში ამბობთ, რომ უდანაშაულო პირი მიაბრძანეს ციხეში და ქურდები თავისუფლად განაგრძობენ ბოროტმოქმედებასაო. არ ვიცით რომელ შემთხვევაში ამბობთ მართალს: ეს ხომ აშკარა წინააღმდეგობაა.

მე მოგთხოვთ, ბ-ნო მაქსიმე, თუ გული შეგტკივათ საქმისთვის, გვაჩვენოთ ვინ არიან ის ქურდები, რომ აღმოვაჩინოთ და საბჭოთა მთავრობას არ ვაზარალოთ 50 მილიონი მანეთი. მაგრამ ვეჭვობთ, რომ ეს მოიმოქმედოთ თქვენ.

ამით ვათავებ ჯერ ჯერობით გაზეთის ფურცლებზე ჩემს პასუხს, ბ-ნო მაქსიმე, თქვენს ჭორებით სავსე წერილზე.

— ვინაიდან ჩვენ გვსურს ეს საქმე გადავსცეთ რევტრიბუნალს, წინადადებას ვაძლევთ გაზ. „ტრიბუნალს" გვაცნობოს ვინაობა ავტორის, ან მიიღოს თავის თავზე პასუხისმგებლობა მაქს—იმეს წერილში წამოყენებულ ბრალდებებისათვის. ველით პასუხს სამი დღის განმავლობაში.

ქ. თბილისის და მისი მაზრის სამხედრო კომისარი გრ. კობიძე.

29 აგვისტო.

1922 წ.

## მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

### ბრძანება

**ქ. თბილისის და მისი მაზრის სამხედრო კომისარიატის მიმართ.**

**№ 243**

31 აგვისტო 1922 წელი ქ. თბილისი.

§ 5.

ამ ბრძანების გამოქვეყნების დღიდან ხუთი დღის განმავლობაში ეძლევათ წინადადება ყველა უფშემდგენლობას და სამნეო საადმინისტრაციოს, რომელნიც აყვანილნი არიან აღრიცხვაზე ჩემდამი რწმუნებულ კომისარიატში თანახმად განცხადებისა 6 მაისიდან სახ. სამხ. და საზღვაო კომისარიატის შტაბის ბრძანებისა № 158 და დღემდის არ მიუღიათ სამხედრო სააღრიცხო წიგნაკები, გამოცხადდნენ ასეთების მისაღებათ სამხედრო კომისარიატის საადრიცხვო სამობილიზაციო განყოფილებაში 10 საათიდან 2 საათამდე.

წინააღმდეგ შემთხვევაში დამრღვევნი ამა ბრძანებისა მიეცემიან პასუხისგებაში.

§ 6.

ყველა აღრიცხვის გარეშე დარჩენილნი, რომელთაც ეხება აღრიცხვა ზემოაღნიშნულ § ის თანახმად, გამოცხადებულ განცხადებისა და ბრძანების № 158 დამატებით ვავალებ გამოცხადდნენ აღრიცხვაზე არა უგვიანეს 10 სექტემბრისა.

აღნიშნულ ვადაზე არ გამოცხადებულნი პირნი დაისჯებიან რევოლიუციონური წესით.

ქ. თბილისის და მისი მაზრის სამხედრო კომისარი კობიძე.

სამხედრო კომისრის თანაშემწე მიქაბერიძე.

—

### სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სავალდებულო დადგენილება № 16.

2 სექტემბერი 1922 წ.

თანახმად სახალხო კომისართა საბჭოს № 3 დეკრეტის 25 მუხლისა, ნავთის პროდუქტებით ვაჭრობისა და მისი საქ. საბჭ. სოც. რესპუბლიკის საზღვრებში შემოტანის სახელმწიფო მონოპოლიად გამოცხადების შესახებ, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს № 3 სავალდებულო დადგენილების დამატებით, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო ადგენს:

ის პირნი, რომელნიც დაარღვევენ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სავალდებულო დადგენილების № 3 ს, გარდა იმ გადასახადის ზომისა, რომელიც ნაჩვენებია აღნიშნულ დადგენილების მე 5 მუხლში, დაჯარიმებულნი იქნებიან დანაშაულობის ხარისხის მიხედვით 25 მილიონი მანეთამდე.

სახ. მეურ. უმაღ. საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ავაკოვი**

სათბობ მასალათა განყოფილების გამგე **ბორკონი**.

სახ. მეურნ. უმაღლეს საბჭოს საქმეთა მმართველი **დ. მესხი**.

(274—1—1)


**სარეკლამო ბიური**

მიწათ-მოქმედების კომისარიატის სახალხო მამულების

# ქვე-განყოფილება

ამით აცხადებს, რომ ქ. თბილისში, ქვე განყოფილების სადგომში (**რუსთაველის პროსპექტი, ყოფ. კადეტთა კორპუსი**). **ხუთშაბათს, 7 ენკენისთვეს** 12 საათზე დანიშნულია მეორე და უკანასკნელი

# საჯარო ვაჭრობა

შემდეგი სახალხო მამულების იჯარით გაცემაზე:

1. **ზედობანი** (მიხეილ ნაკაშიძის ყოფილი მამული სოფ. ზედობანში ოზურგეთის მაზრაში): 4 დეს. დაბლარი ვენახი, 2 ხეხილის ბაღი, 10 ჩაის პლანტაცია, 20 სახნავი და სხვა, სულ 67 დესეტინა.

2. **ბეთანია აქურისი** (ბარონ ნიკოლაის ყოფილი მამული კოჯორის ახლო, თბილისის მაზრაში): 30 დეს. ხეხილის ბაღი, 32 დეს. სათიბი, 5 დეს. სახნავი და სხვა, სულ 170 დეს.

პირობების გაგება შეიძლება სახალხო მამულების ქვე განყოფილების კანცელარიაში მუშაობის დღეს დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. (272—2—1)

# ამიერ-კავკასიის ს. ს. რ. რკინის გზების სამმართველო

ამით აცხადებს, რომ 7 ენკენისთვეს ამა წლის 12 საათზე სამმართველოს შენობაში დანიშნულია

## შეჯიბრება იჯარით გაცემაზე:

ბუფეტისა სად. იხზე, სავაჭრო ფარდულისა სადგურ ამამლოში, საპირფარეშოებისა სადგურ ხაჩმას და სადახლოში და თბილისის სადგურზე ყოფილ საფარეშოსი, მოთავსებულის თბილისისავე საქონლის ეზოში. საფარეშო გაიცემა იჯარით იმ პირობით, რომ მოიჯარადრემ თავის ხარჯით გადააკეთოს იგი სავაჭრო ფარდულად.

განცხადებები, სალერმო გარდასახადით განაღდებულნი 10.000 მან. რაოდენობით, უნდა შეტანილ იქნენ დახურულ კონვერტებში წარწერით: „ამიერ კავკასიის რკინის გზების სამმართველოს საბჭოში 7 ენკენისთვეს შეჯიბრებისათვის". განცხადებებს უნდა დაერთოს კვიტანციები საწინდარის შეტანის შესახებ რაოდენობით 1.000.000 მანეთისა.

დაწვრილებითი ცნობების გაგება შეჯიბრების შესახებ შეიძლება ეკონომიურ დარგის კომერციულ ნაწილში ყოველ დღე 10 საათიდან 2 საათამდე კვირა-უქმეების გარდა. (3—1)

დამატებითი მატარებლები № № 17 და 18

# ბორჯომამდის

მატარებლები № № 17 და 18, რომელნიც თბილისსა და ხაშურს შუა მოგზაურობენ შაბათობით, 2 სექტემბრიდან ეს მატარებლები ივლიან ბორჯომამდე და უკანასკნელიდან კი—კვირაობით.

თბილისიდან მატ. № 18 გავა დილ. 8 ს. და 35 წ., გორიდან 11 ს. და 47 წ., ხაშურიდან დღის 1 ს. და 25 წ., ჩავა ბორჯომში დღის 2 ს. და 55 წ. გამოვა ბორჯომიდან კვირაობით დღის 3 ს. და 55 წ., გორიდან—საღ. 7 ს. და 6 წ., თბილისში მოვა საღ. 10 საათზე. 2 სექტემბრიდანვე ბორჯომსა და ბორჯომ-პარკს შუა იმოგზაურებს დამატებითი ორი მატარებელი მატ. № № 17 და 18 მიმოსვლასთან შეთანხმებით. (260—2—2)

ელექტრონის, რენტგენის და სინათლის

# სამკურნალო

საწოლი ოთახებით

**მიხეილ გედევანიშვილისა**

ტფილისი, ყორღანოვის ქუჩა № 20, ტელ. 7—91. (25—20)

ქალაქის აღმასკომის კომუნალ. განყოფილება

აცხადებს, რომ სამშაბათს, 5 სექტემბერს, დანიშნულია

# საჯარო ვაჭრობა

**ყოფ. მირზოევის აბანოს შესაკეთებლად.**

ცნობების მიღება შეიძლება ქალაქის აღმასკომში ოთახი № 45.

საინ. ტეხ. საამშენებლო განყოფილების გამგის მოადგილე: **დეხანოვი**.

258 კრ. 3—2

კვირას, 3 სექტემბერს დილის 10 საათზე ყოფ. სომხურ კლუბის შენობაში (ხელოსანთა კლუბის პირდაპირ) შესდგება

# საერთო კრება

დამოუკიდებელ შრომის პირთა

(ხელოსნების, შინა მრეწველის, ინტელიგენტურ პროფესიის პირთა—ექიმების, იურისტების და სხვ., რომელნიც არსად მსახურებენ) „დამოუკიდებელ შრომის პირთა ურთიერთ დამხმარე საზოგადოების" დასაარსებლად და მოსაწყობათ.

დღის წესრიგი:

1) მოხსენება საზოგადოების მნიშვნელობის შესახებ.
2) საორგანიზაციო ბიუროს არჩევნები.
3) სამქრო კომისიის არჩევნები.

გთხოვთ ყველა დაესწროთ, რადგან ყველა დამოუკიდებელ შრომის პირთათვის სავალდებულოა საზოგადოებაში თანამშრომლობა.

**შრომის სახ. კომისარიატთან არსებული საორგანიზაციო კომისია.**

(კრ. 244—4—4)

საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის ფოსტა-ტელეგრაფის

# კომისარიატი

ამით აუწყებს ყველას, რომ ნაცვლად არსებული წესისა, რომლის ძალით რადიო გრამები მიიღებოდა ტფილისში ფოსტა-ტელეგრაფის კომისარიატის სარადიო განყოფილებაში, ფოთში და ბათომში—რადიო სადგურებში,—დაწესებულია მიღება ასეთების ტფილისში—მთავარ სატელეგრაფო კანტორაში, ბათუმსა და ფოთში ფოსტა-ტელეგრაფის კანტორებში.

საქარ. სოც. საბჭ. რესპუბლ. ფოსტა-ტელეგრაფის სახ. კომისარი **ა. ყამარაული**.

(277—2—2)

გაზეთის ტრესტის პროვინციალურ კონტრ-აგენტების

# საყურადღებოთ

გაზეთის ტრესტის მთავარ კანტორამ გაიგო, რომ ზოგიერთი კონტრ-აგენტები აჩერებენ 2—3 დღის გაზეთებს, რომელიც მათი საშუალებით ეგზავნებათ პარტიულ კომიტეტებს, აღმასკომებს და სხვ. გაცნობებთ, რომ გაზეთების შეჩერება დაუშვებელია. კონტრაგენტი, რომელიც შემჩნეულ იქნება გაზ. დაგვიანებაში, დაუყონებლივ დაჰკარგავს წარმომადგენლობის უფლებას და მიეცემა პასუხის გებაში. (0—14)

გაზეთის ტრესტის მთავარ

# კანტორისაგან

რათა არ იქნეს შეწყვეტილი გაზეთების გზავნა, გაზეთის ტრესტის მთავარი კანტორა სთხოვს ხელის მომწერლებს თავის დროზე იზრუნონ ხელის მოწერის განახლებაზე.

ხელის მოწერა მიიღება თბილისის ყველა გაზეთებზე ხელის მოწერის ფასი ძველია. ხელის მოწერა მიიღება რამდენიმე თვისაც ამა წლის დასასრულამდე.

**გაფრთხილება**: ხელის მომწერლებს, რომლებიც არ შემოიტანენ მომავალ თვის პირველამდე სექტემბრის ხელის მოწერის ფასს, ან არ დაფარავენ თავიანთ ვალების ვალდებულებას, გაზეთები აღარ გაეგზავნება. (0—35)


# საქ. კომუნისტურ ახალგაზრდობის ფურცელი № 46

## ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე

3 სექტემბერი მუშათა ახალგაზრდობის დღეა. ის მისი დღესასწაულია. დღესასწაული რევოლიუციონური ბრძოლის. ახალგაზრდობის საერთაშორისო დღეს რვა წლის ისტორია აქვს.

ევროპის რევოლიუციონურ ახალგაზრდობას, უფრო სხვა პირობებში უხდება ამ დღის გატარება, ვინემ ეს არის საბჭოთა რესპუბლიკებში. იქ მათ ამ დღეს მოელით, საკუთარი მსხვერპლის გაღება, სისხლის დაღვრა, დატუსაღება, კატორღა. ბურჟუაზია შეეცდება უხეში ძალადობისადმი მიმართვით შეუძლებელ ჰყოს საერთაშორისო დღის მოწყობა თავის სახელმწიფოში, მაგრამ მუშათა ახალგაზრდობა, რომელიც მდიდარია რევოლიუციონური ტემპერამენტით უკან არ დაიხევს და დარაზმული წითელი დროშებით გამოვა ქუჩებში. ეს დღე იქნება გენერალური დათვალიერება, ახალგაზრდათა რევოლიუციონური ძალების. ის გვიჩვენებს, თუ რამდენათ გაიზარდა და განმტკიცდა ყველა სახელმწიფოებში, კომუნისტური კავშირები რომელთა ხელმძღვანელობით ასი ათასეული ახალგაზრდა მუშები ახალგაზრდათა კომინტერნის დროშის გარშემო დარაზმული გამოვლენ ამ დღეს. რამდენათაც მასსიური იქნება ეს გამოსვლები, იმდენათ ის დაგვიმტკიცებს კომუნისტური კავშირის მძლავრ გავლენას იმ მუშათა ახალგაზრდობაზე, რომლებიც ჯერ კიდევ კავშირს გარეთ არიან.

საბჭოთა რუსეთში საერთაშორისო დღე წელს მეხუთეჯერ ეწყობა. ეს აიხსნება, რუსეთის განსაკუთრებული პირობებით. 1917 წლამდის თვითმპყრობელობის და ბურჟუაზიის ბატონობა შეუძლებელათ ხდიდა ახალგაზრდათა მოძრაობას და ორგანიზაციების აღმოცენებას.

ოქტომბრის რევოლიუციამ ფართე გზა გაუხსნა ახალგაზრდათა მოძრაობას. კომუნისტური კავშირი შეიქმნა ერთ დიდ მასიურ ორგანიზაციათ, რომელიც მხურვალე მონაწილეობას ღებულობს ახალგაზრდათა საერთაშორისო მოძრაობაში. ამიერკავკასიაშიც ეწყობოდა საერთაშორისო დღის ჩატარება, რამდენადაც ის შესაძლებელი იყო მენშევიკების, მუსავატელების და დაშნაკელების ბატონობის დროს.

საბჭოთა რესპუბლიკებში წელს 3 სექტემბერი ჩატარდება, ახალგაზრდა მუშების და გლეხების კომკავშირის დროშის გარშემო კიდევ უფრო შემოკრების ლოზუნგით; ამ დღეს მოითხოვენ დაცვას და გაუმჯობესებას ახალგაზრდა მუშების ნორმალურ ეკონომიურ ცხოვრებისას, მოპოვებას სწავლის შესაძლებლობისას. **ახალგაზრდათა დღე**, თავისი ლოზუნგებით, საერთაშორისო მოძრაობის მსვლელობის გზის მანათობელია. ის მის განვითარების სხვა და სხვა მომენტებს გვიჩვენებს.

გაფართებულ იმპერიალისტურ ომის დროს, საერთაშორისო დღე ეწყობოდა, მუშათა ახალგაზრდობის რევოლიუციონური მოთხოვნით, იმპერიალისტური ომის სასწრაფოთ შეწყვეტა, ბრძოლა მილიტარიზმის წინააღმდეგ, შორს სოციალ გამცემლებისაგან, რომლებიც მხარს უჭერდნენ იმპერიალისტურ ომის წარმოებას.

იმპერიალისტურ ომის პროცესში, საერთაშორისო დღე, ერთად ერთი რევოლიუციონური გამოსვლები იყო, იმ ახალგაზრდათა სოციალისტურ კავშირების ინიციატორობით, რომლებმაც შემდეგში, დაარსეს ახალგაზრდათა კომინტერნი.

წელს ახალგაზრდათა საერთაშორისო მოძრაობა განსაკუთრებულ მდგომარეობაში იმყოფება. მას წინ უდევს განსახორციელებლად ისეთი საკითხი, როგორიც არის მუშათა მთლიანი ფრონტი.

ამ დიდი ლოზუნგით ჩატარდება ყველა ქვეყნებში, საერთაშორისო დღე, რომელიც თავის მხრივ კომინტერნს გაუძლიერებს მუშაობას.

**ჩვენ მოვითხოვთ საერთაშორისო მუშათა კონგრესის დაუყონებლივ მოწვევას!**

## ბრძოლის დღე

კაპიტალისტური მეურნეობის განვითარებამ, ორთქლისა და ელექტრონის მანქანის შემოღებამ წარმოებაში, შრომა ხელმისაწვდომი გახადა ფიზიკურათ სუსტ არსებათათვის, დედაკაცისა და მცირე წლოვან ბავშვთათვის—მოზარდ თაობისათვის. ამრიგათ ახალგაზრდობა, საზოგადოებრივ ღირებულებას ქმნის თავისი საკუთარი შრომით, რომელსაც ყვლეფს ბურჟუაზიული კლასი. ამიტომ მუშათა ახალგაზრდობა, რომელთაც უჭირავს განსაზღვრული ეკონომიური მდგომარეობა საზოგადოებაში, ცდილობს დაიცვას თავისი კლასიური ინტერესები. აქ მუშათა ახალგაზრდობის მისწრაფებას და ინტერესებს წინ ხვდება ბურჟუაზიული კლასის წინააღმდეგობა, რადგან ეს უკანასკნელი ცდილობს გაადიდოს თავისი კაპიტალი ერთი მხრივ, ახალგაზრდა მუშების მეტი ექსპლოატაციით. ბურჟუაზიული სახელმწიფოს არსებობა კაპიტალისტური წარმოების წესები საზოგადოთ, მიუღებელი არის პროლეტარულ ახალგაზრდობისათვის. ის მისი ისეთივე შეურიგებელი მტერია, როგორც პროლეტარიატი საერთოდ.

კაპიტალისტურ კლასისა და პროლეტარულ ახალგაზრდობის შორის არსებულ კლასიურმა ანტაგონიზმმა დასაწყისი მისცა მუშათა ახალგაზრდობის მძლავრ სოციალისტურ მოძრაობას, რომელიც მიმართულია ბურჟუაზიის ბატონობის წინააღმდეგ.

მოძრაობამ ჩაითრია დიდი ნაწილი მუშათა ახალგაზრდობისა. შესაძლებელი გახდა ორგანიზაციულათ შეკავშირება არა რომელიმე ერთი სახელმწიფოს რევოლიუციონური ახალგაზრდობისა, არამედ ამ ორგანიზაციების საერთაშორისო კავშირი, ახალგაზრდათა ინტერნაციონალის სახით, რომელიც გაერთიანებული ძალით აწარმოებს ბრძოლას კაპიტალიზმის წინააღმდეგ.

მუშათა ახალგაზრდობის რევოლიუციონურ ორგანიზაციების ბრძოლა ბურჟუაზიაზე საბოლოოდ სწარმოებს სისტემატიურათ. მაგრამ ყოველ წლობით სექტემბრის **პირველ კვირას** ხდება მუშათა ახალგაზრდობის საერთაშორისო მოძრაობის ყველა ძალთა დემონსტრაცია, მაგრამ ამავე დროს ის არის, ბურჟუაზიის კლასიურ დიქტატურის წინააღმდეგ, აშკარა, შეუპოვარ **რევოლიუციონური ბრძოლის დღე**. ამიტომ ამ დღეს აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა ახალგაზრდათა კომუნისტურ მოძრაობის განვითარებისათვის. რადგან საერთაშორისო დღის დღესასწაული ეწყობა არა მარტოდ კომუნისტურ მუშათა ახალგაზრდობის მიერ, არა-

მედ მისი მონაწილეა პროლეტარული ახალგაზრდობის ფართო მასა.

საერთაშორისო დღე იმდენათ პოპულიარული შეიქნა პროლეტარულ ახალგაზრდობის ფართე წრეებისათვის, რომ ამ დღეს, სადაც არ უნდა იყვეს ახალგაზრდობა, სახელოსნოში, ფაბრიკაში, ქარხანაში, მაღაროებში, თუ სოფლად მინდვრებზე, სტოვებს თავის სამუშაოს და მიეშურება დემონსტრაციებში მონაწილეობის მისაღებათ.

რამდენადაც საერთაშორისო დღე, მუშათა რევოლიუციონური ახალგაზრდობის ბრძოლის დღეა ბურჟუაზიის წინააღმდეგ, რამდენადაც ამ დღეს გამოსვლები იღებენ გრანდიოზულ ხასიათს, იმდენათ მეტ სასტიკ წინააღმდეგობას ხვდება ეს დღესასწაული. ბურჟუაზია მარჯვეთ იყენებს თავის სახელმწიფოს სამხედრო ძალებს, საერთაშორისო დღის მონაწილეთა წინააღმდეგ. მრავალი ახალგაზრდა მუშებს სიცოცხლეს ასალმებენ. ხშირათ ხდება შეტაკებები მანიფესტანტებსა და პოლიცია—ჯარს შორის. მაგალითად იტალიაში ფაშისტებთან შეტაკების დროს, ახალგაზრდათა საერთაშორისო დღეს, მსხვერპლი შეიქნა მრავალი ახალგაზრდა მუშა.

ასე ხდება ყველა ბურჟუაზიულ ქვეყნებში, მაგრამ მიუხედავათ წარმოუდგენელ ძალადობისა, საერთაშორისო დღე—დღე, მუშათა ახალგაზრდობის რევოლიუციონური ბრძოლისა კაპიტალის წინააღმდეგ, მაინც ყოველ წლობით ეწყობა, დაწყებული 1915 წლიდან, როდესაც პირველად იქნა ჩატარებული ახალგაზრდათა საერთაშორისო დღე.

ახალგაზრდათა საერთაშორისო მოძრაობის განვითარებას მესამე სტადიასთან ტრადიციულათ დაკავშირებულია **საერთაშორისო დღე**. ამ დღის შემოღებას წინ უძღოდენ მრავალი ისტორიული მოვლენები. იმპერიალისტურმა ომმა მოუმზადა ნიადაგი არა მარტო მით, რომ ახალგაზრდათა ინტერნაციონალის არსებობა კითხვათ გადააქცია, არამედ მათ ფიზიკურ არსებობას ბოლოს უღებდა. ახალგაზრდათა საერთაშორისო გაერთიანების ჯანსაღმა სოციალისტურმა ორგანიზაციებმა ბერნის კონფერენციაზე დაადგინეს „სლვთო ომი" ეწარმოებიათ მილიტარიზმის წინააღმდეგ, იმპერიალისტური ომის სასწრაფოთ შეწყვეტის მოთხოვნით. ერთ მხრივ, ეს იყო უმთავრესი მოტივი საერთაშორისო დღის დაწესების, მაგრამ მეორე მხრივ ამ დღის შემოღებას სარჩულად უდევს ბრძოლა მეორე ინტერნაციონალის წინააღმდეგ. საერთაშორისო რევოლიუციონურმა ახალგაზრდობამ საბოლოოდ კავშირი გასწყვიტა ოპორტიუნისტულ პარტიებთან. 1919 წელს ბერლინის კონგრესზე ნოემბერში, დაარსებულ იქნა ახალგაზრდათა კომინტერნი, რომლის ხელმძღვანელობით ეწყობა ყოველწლობით **საერთაშორისო დღე**. წელს მას კიდევ მეტი მნიშვნელობა აქვს. ის შექმნის მთლიან მუშათა ფრონტს კაპიტალის შემოტევის წინააღმდეგ. ამას ითხოვს ისტორიულ მოვლენათა მსვლელობა.

ქ. გორდელაძე.

**დღეს ევროპაში მუშათა ახალგაზრდობას ხვდებიან ტყვიის მფრქვევლებით, მაგრამ უძლეველია ჩვენი რაზმები!**

# ჩვენი საჩუქარი ახალგაზრდობის საერთაშორისო დღეს 3 სექტემბერს

მსოფლიოს რევოლიუციონური ახალგაზრდობა წელს მერვეჯერ მართავს თავის დღესასწაულს.

მიუხედავად გაუგონარ სიცრუისა და ფაქტების ფალსიფიკაციისა, რომელსაც მიმართა 1914 წელს მებრძოლ სახელმწიფოთა ბურჟუაზიამ ომის გასამართლებლათ, პროლეტარულ ახალგაზრდობის ბანაკში მაინც ვერ იპოვა გამოძახილი.

პროლეტარულმა ახალგაზრდობამ იმ თავითვე ალღო აუღო შექმნილ მდგომარეობას და შოვინიზმის ბუროსის გაფანტვით, შესძლო 1905 წელს ქ. ბერნში თავის კონგრესზე ემცნო ყველასათვის, რომ „ის წინააღმდეგია ომის, მილიტარიზმის, ნაციათა ერთი მეორეზე წასისიანების და მოუწოდა ყველა ქვეყნის მშრომელთ, მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობას გამოსულიყო მშვიდობიანობის დასაცავად, შესაჩერებლათ უმაგალითო სისხლის ღვრისა და ქვეყნის განადგურებისა. ამაშია სიძლიერე საერთაშორისო დღის, რომელიც იმართება პერიოდულათ, წელს კი მერვეჯერ. ეს დღე მობილიზაციას უშვება, ერთი დროშის ქვეშ აყენებს და ქუჩაზე გამოყავს შრომაში ჩაბმული ახალგაზრდობა.

დიახ, ეს ახალგაზრდობის ძალის კონსოლიდაციის და დემონსტრაციის დღეა. ჩვენი მოძმე ახალგაზრდობა დასავლეთში, მიუხედავათ ათას გვარ რეპრესიებისა, გმირულად გამოდის ამ დღეს.

წელს, ამ დღის გატარებაში, საბჭოთა საქართველოს პირობებში, მეორეჯერ ღებულობს მონაწილეობას მშრომელი ახალგაზრდობა საქ. ახ. კომკავშირის მეთაურობით. მენშევიკური მთავრობა, რომელიც „ერთგულად სალამს" უძღვნიდა ინგლისის და საფრანგეთის იმპერიალისტებს აბა როგორ დართავდა ამ დღის გამართვის ნებას. მხოლოდ ეხლა გვაქვს ამის შეძლება.

ამ დღეს საჭიროა გადავხედოთ ჩვენ კავშირს, დავათვალიეროთ ჩვენი რიგები, რათა გავიგოთ რით ხვდება ჩვენი კავშირი ამ დღეს და რა ძალას წარმოადგენს ის ამ ჟამათ.

უკვე მეხუთე წელია მუშაობს ჩვენი კავშირი. სახელოვანია მისი არალეგალურ მუშაობის ისტორია. პარტიას, რომელიც აწარმოებდა მაშინ უთანასწორო ბრძოლას მენშევიკებთან, ერთ ერთ წყაროთ, თავის რიგების შესავსებად, კავშირი ჰყავდა. მაგრამ უფრო ფართე, გაშლილი და მასიურია ჩვენი მოძრაობა დღეს. ჩვენმა კავშირმა გააერთიანა თავის დროშის ქვეშ თორმეტი ათასი ახალგაზრდა. საქართველოში არის ეროვნული უმცირესობანი, გვხვდება მუშაობა წვრილ ბურჟუაზიულ პირობებში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენ შევძელით ნაციონალურ განკერძოების დაძლევა და ჩვენ კავშირში თავი მოვუყარეთ ქართველებთან ერთათ, ოსებს, სომხებს, თათრებს ერთი სიტყვით ყველა ჩვენში მობინადრე ერთა მშრომელ ახალგაზრდობას. ჩვენი სიამაყეა სამხრეთ ოსმალეთის ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს ათას ორას წევრზე მეტს. მაგრამ არის ადგილობრივი ორგ. აჭარაში და აფხაზეთში. თანდათან ძლიერდება ჩვენი კავშირი. იზრდება მისი გავლენა. ის იპყრობს მეტ ყურადღებას, კავშირი მონაწილეობას ღებულობს სახელმწიფო აღმშენებლობაში. მრავალ ალაგას საბჭოებში მუშაობს ჩვენი წევრები. არა ერთ თემს უძღვება კავშირის წევრები. არც ერთი კამპანია არ ტარდება კავშირის მონაწილეობის გარეშე. ჯარის შექმნაში ენერგიულათ მოქმედობს კავშირი. თავის წევრებით ავსებს ის საკომანდო კურსებს. ყველგან, ყოველთვის არის კავშირი. ასეთია მისი ბუნება, მისი მუშაობის შინაარსი. კავშირმა ჩაატარა მძიმე ორგანიზაციული მუშაობა მთელი საქართველო მოფარა თავის უჯრედებით. ერთად ერთი ორგანიზაცია მუშურ გლეხურ ახალგაზრობის ჩვენი კავშირია. კავშირი უახლოვდება უპარტიო ახალგაზრდობას ქალაქში და სოფელში. მისი კარები კრებების დროს ღიაა. მან თავისი ეკონომიური მუშაობით, ახალგაზრდათა შრომის დაცვით და განსაზღვრული რაოდენობის ადგილების (10 პროც. და 20 პროც.) დაპყრობით წარმოებაში მუშათა ახალგაზრდობისათვის უდიდესი სიმპატია დაიმსახურა იმათ თვალში. სოფელში ხომ ჩირაღდანი, გზის მანათობელი სოფლის უპარტიო ახალგაზრდობისათვის არის ჩვენი უჯრედი. ეხლა კავშირი ამარტივებს თავის აპარატს, ახთენს ძალების გადაჯგუფებას და უდგება მუშაობის მეორე ნაწილის გატარებას—გაღრმავებას პოლიტიკურ და აღმზრდელობითი მუშაობისა. კავშირს აქვს თავისი ორკვირეული ორგანო „სპარტაკი", კვირეული ფურცელი, მრავალ ალაგას პროვინციალური ფურცელი, კავშირი აგვარებს გამომცემლობას, უკვე მუშაობს 8 კლუბი. ხუთის გახსნა მოხდება სამრეწველო ცენტრში 3 სექტემბერს ასე ჩვენი კავშირი შეგნებულათ ხვდება სამ სექტემბერს. ამ დღეს ის კიდევ ერთხელ ახთენს თავის ძალების აღლუმს. აქ ჩვენ არ გვჭირია ბრძოლა მილიტარიზმის წინააღმდეგ. საბჭოთა ხელისუფლება—თვით ნიშანია მილიტარიზმის არარაობის. ჩვენი მუშაობის ასპარეზი მშვიდობიანი მოქმედებაა ახალგაზრდათა გასათვითცნობიერებლათ. ამრიგათ ორი მომენტით დახასიათდება დღეს ჩვენი კავშირის მდგომარეობა საქართველოში:

1. ჩვენი კავშირის მუშაობის გამოცოცხლება, უპარტიო ახალგაზრდობის ლტოლვა კავშირის რიგებში და
2. კავშირის გადასვლა სისტემატიურ მოსამზადებელ მუშაობის წარმოებაზე ჩვენი წევრების შეგნების დონის ასამაღლებლათ. ამ საჩუქარით ვხვდებით ჩვენ წელს 3 სექტემბერს და დასავლეთის პროლეტარულ ახალგაზრდობას, რომელსაც უხდება გამოსვლა ამ დღეს ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში და სისხლის დაღვრა, ჩვენ ვეუბნებით: ძმებო! იყავით მხნეთ!

ჩვენ თქვენთან ვართ!

ვალოდია.

**საერთაშორისო რევოლიუციონური ახალგაზრდობა დამსხვრევს მონობის ჯაჭვს!**

# ახალგაზრდათა წითელი და ყვითელი ინტერნაციონალი

(თეზისები)

1. კაპიტალიზმის უმწვერვალესად განვითარებამ მთელი კაცობ იობა დააყენა იმპერიალისტურ ომების აუცილებლობის წინაშე, მილიტარიზმის ზრდამ გამოიწვია დრტვინვა მუშათა კლასში. სოციალისტური ახალგაზრდობა დადგა უდიდეს სიფრთხის წინაშე.

პირველ რიგში, იმპერიალისტური ომი თავის მსხვერპლად იხდის ახალგაზრდობას. ამიტომ ცხადია, მილიტარიზმის წინააღმდეგ მეტი გაბედულობით და შეგნებით გაილაშქრებდა რევოლიუციონური ახალგაზრდობა. მეოცე საუკუნის დასაწყისიდან, ევროპის მრავალ ბურჟუაზიულ ქვეყნებში, სწრაფი ნაბიჯით ვითარდება მუშათა ახალგაზრდობის სოციალისტური მოძრაობა.

ობიექტიური და სუბიექტიური პირობების ზედ გავლენით, შესაძლებელი შეიქნა ინტერნაციონალური გაერთიანება, ამა თუ იმ ბურჟუაზიულ ქვეყნებში არსებულ ახალგაზრდათა სოციალისტური ორგანიზაციების.

1907 წელს ქ. შტუდგარტში (გერმანიაში), პირველად ისტორიაში შეიკრიბენ ახალგაზრდათა ორგანიზაციების წარმომადგენლები და საფუძველი ჩაუყარეს ახალგაზრდათა ინტერნაციონალს. ახალგაზრდათა ინტერნაციონალის დაარსების უმთავრესი მიზანი იყო, გაერთიანებული ძალით ბრძოლა მილიტარიზმის წინააღმდეგ, რომ თავიდან აგვეცილებია იმპერიალისტური ომის შესაძლებლობა.

2. მეორე ინტერნაციონალის მოღალატურმა პოლიტიკამ ხელი შეუწყო, მუშათა კლასი გამხდარიყო ბურჟუაზიის ხელში, ომის უბრალო იარაღით, ამ უკანასკნელმა 1914 წლიდან, პროლეტარიატის საერთაშორისო ორგანიზაცია, ინტერნაციონალი, როგორც ასეთი, დაანგრია.

სოციალისტურ ახალგაზრდობის საერთაშორისო გაერთიანების მთავარი პრინციპები, შეურყევლად შერჩა პროლეტარულ ახალგაზრდობას, მუხედავად იმისა, რომ ოპორტუნიზმი, მუშათა კლასის ოფიციალურ პარტიებიდან, გადავიდა ახალგაზრდათა სოციალისტურ ორგანიზაციებშიც. ამ ფაქტს უნდა მიეწეროს ის გარემოება, რომ ახალგაზრდათა ინტერნაციონალის ალმასკომის მდივანი ავსტრიელი ექიმი **დანენბერგი** იმპერიალისტურ ომის დაწყების მომენტიდან არავითარ ღონისძიებას არ მიმართავდა ინტერნაციონალის მუშაობის აღსადგენათ. მიუხედავათ ამისა და ომით გამოწვეულ მრავალ სიძნელეთა, მაინც შესაძლებელი შეიქნა საერთაშორისო სოციალისტურ კონფერენციების მოწვევა ქ. ბერნში (შვეიცარიაში) 1915 წელს.

კონფერენცია მოწვეულ იქნა ნეიტრალურ ქვეყნების, ახალგაზრდათა სოციალისტური ორგანიზაციების ინიციატორობით. კონფერენციის მიერ მიღებულ იქნა, გაბედული ბრძოლა აწარმოვონ ომის სისწრაფით შესაწყვეტად და მედგრად ებრძოლონ ყველა იმ სოციალ-გამცემლებს, რომმლებიც ომს მხარს უჭერდენ.

3. რუსეთის ოქტომბრის დიდმა პროლეტარულმა რევოლიუციამ და ცენტრალურ ევროპის სახელმწიფოებში რევოლიუციონური მსვლელობის განვითარებამ, ახალგაზრდათა სოციალისტურ ორგანოებს მდიდარი პერსპექტივები გადაუშალა, საერთაშორისო მოძრაობის და ინტერნაციონალური გაერთიანების კიდევ უფრო განვითარების შესაძლებლობით. ბერნის კონფერენციის შემდეგ, პირველად შეიკრიბენ ახალგაზრდათა ორგანიზაციების წარმომადგენლები ბერლინში 1919 წ. ნოემბერში.

ბერლინის კონგრეს დაესწრენ დელეგატები წარმომადგენლები 250.000 ახალგაზრდა მუშებისა. ამ დროს, იმდენად განთავისუფლებული იყო საერთაშორისო რევოლიუციონური ახალგაზრდობა, მეორე ინტერნაციონალის მუშათა ოფიციალურ პარტიების ოპორტუნისტულ და ბურჟუაზიული გავლენიდან, რომ სამუდამოთ კავშირი გასწყვიტეს მათთან, და დადგენილ იქნა შეუერთდენ მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალს. ამ რიგად ბერლინის კონგრესზედ, საფუძველი ჩაეყარა ახალგაზრდათა კომუნისტურ ინტერნაციონალს.

4. მიუხედავათ, იმპერიალისტური ომით გამოწვეული კრიზისისა სოციალისტურ მოძრაობაში, მუშათა ახალგაზრდობის ორგანიზაციებმა მაინც შესძლეს შეენარჩუნებიათ მთლიანობა. თუ არ მივიღებთ მხედველობაში ზოგიერთ მემარჯვენე ორგანიზაციებს. დიდი უმრავლესობა ახალგაზრდათა ინტერნაციონალისა, (რომელიც დაარსდა 1907 წელს) მონაწილეობას ღებულობდა ბერლინის კონგრესზე. ეს ფაქტი იმის დამამტკიცებელია, რომ ახალგაზრდათა საერთაშორისო სოციალისტურ მოძრაობის დიდი უმრავლესობის და რევოლიუციონურ ნაწილის მიერ დაცული იქნა მთლიანი რევოლიუციონური ფრონტი.

5. ახალგაზრდათა რევოლიუციონურ მოძრაობის მიერ აღებული სწორი ხაზით უნდა აიხსნას მოძრაობის სწრაფი ზრდა, ბერლინის კონგრესის შემდეგ. ახალგაზრდათა კომუნისტურ ინტერნაციონალის მეორე კონგრესმა მოსკოვში 1921 წ., რომელზედაც წარმომადგენელი იყო 48 სხვადა სხვა სახელმწიფოს ახალგაზრდათა ორგანიზაციების, 800,000 წევრი, საქვეყნოთ დაამტკიცა მუშათა მთლიანი ფრონტის დაცვა. ახალგაზრდათა კომუნისტურ მოძრაობის მიერ ყველა შესანიშნავი დადგენილებანი, არა მარტო მოსკოვის კონგრესის, არამედ ჯერ კიდევ ბერლინის, მიღებული იქნა სახელმძღვანელოდ, რადგან ის ოდნავ არ სცილდება ახალგაზრდათა მუშათა ფართო წრეებს და პრაქტიკულად ხელს უწყობს მუშათა მთლიანი ფრონტის შექმნას.

6. ახალგაზრდათა რევოლიუციონურ მოძრაობის უმნიშვნელოვანესი საკითხი, როგორც ძველათ, ისე მით უმეტეს იმპერიალისტურ ომიდან დაწყებული, არის მილიტარიზმთან და მოკიდებულება. ბერნის კონფერენციების დადგენილება მილიტარიზმის შესახებ რადიკალურად შესცვალა ბერლინის კონგრესმა.

ნაცვლად ვიწრო ინდივიდუალურ ბრძოლისა ბურჟუაზიულ მილიტარიზმის წინააღმდეგ, აღიარებულ იქნა მასსიური მუშაობა თვით იმპერიალისტურ ჯარში. ორგანიზაციის წევრები, წინააღმდეგ ბერნის კონფერენციის დადგენილებისა, მიდიან იმპერიალისტურ ჯარში, რომ ხელი შეუწყონ ჯარის გარევოლიუციონერებას და რევოლიუციის გადამწყვეტ სამოქალაქო ომის მომენტში შეიარაღებული დარჩეს პროლეტარიატი. მოსკოვის მეორე კონგრესზე ერთხელ კიდევ აღნიშნულ იქნა ანტიმილიტარისტულ მუშაობის მეთოდის სისწორე.

7. ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალის მეორე კონგრესმა, გაუწია რა ანგარიში ევროპის ეკონომიურ მდგომარეობას ომის შემდეგ და აქედან ახალგაზრდა მუშების ეკონომიური ექსპლოატაციას, წინადადება მისცა ყველა სახელმწიფოების ახალგაზრდა მუშების ეკონომიურ პირობების გასაუმჯობესებლად. აგრეთვე, პოლიტიკურ განმანათლებელი მუშაობის მეთოდები, მიღებული მეორე კონგრესის მიერ, გულისხმობს პოლიტიკურ აღმზრდელობითი მუშაობის წარმოებას, კომუნისტურ კავშირის მიერ ახალგაზრდათა მუშების ფართო წრეებში. ცხადია მეორე კონგრესის შემდეგ, ეკონომიურ და პოლიტიკურ მუშაობის წარმოებით, ახალგაზრდათა კომუნისტურმა ორგანიზაციებმა გადალახეს ვიწრო წრე და უფრო და უფრო დაუახლოვდენ მასსას, წინააღმდეგ ახალგაზრდათა ყვითელ ინტერნაციონალისა.

8. მხოლოდ 1920 წლის ბოლოდან იწყება სოციალ-პატრიოტულ ახალგაზრდათა ორგანიზაციების ინტერნაციონალურად გაერთიანება. ყველაზე უფრო ძლიერი ორგანიზაცია ახალგაზრდა სოციალ პატრიოტები არის გერმანიაში, რომლის ინიციატორობით იქნა დაარსებული ყვითელი „ახალგაზრდათა ინტერნაციონალი". პირველ წინასწარ თათბირზე მონაწილეობას ღებულობდნენ დანიის, შვეციის და გერმანიის ორგანიზაციები. შემდეგ მიემხრნენ ჰოლანდიის ოპორტუნისტული ორგანიზაცია, საფრანგეთის და ბელგიის „ახალგაზრდათა გვარდია". დამფუძნებელი კონფერენცია მოწვეულ იყო 13 მაისის 1921 წელს ქ. ამსტერდამში, ყვითელ პროფესიონალურ კავშირის ინტერნაციონალის რეზიდენციაში. გერმანიის ახალგაზრდათა სოციალ-პატრიოტიული (შეიდემენლების) ორგანიზაცია აერთიანებს 80,000 წევრს. ეს ორგანიზაცია, როგორც უწინ, ისე დღესაც, უარს ყოფს მუშათა ახალგაზრდობის პოლიტიკურ აქტივობას, მის კლასიურ ბრძოლას, და მოძრაობას მთავარ ამოცანათ დასახული აქვს ორგანიზაციის წევრთა საერთო განვითარება ექსკურსიებით, ცეკვით, კლუბით და სხვა. სრულებით დაწყებული აქვს რევოლიუციონური კლასიური ბრძოლა და ლოზუნგათ აქვს მიღებული „კაცობრიობის აღზრდა სოციალიზმისათვის". იმპერიალისტურ ომის დროს თავის ორგანიზაციიდან გარიცხეს ის წევრები, რომლებიც აწარმოებდენ ომს ომის წინააღმდეგ.

9. ყვითელ „ახალგაზრდათა ინტერნაციონალის" სექციები აერთიანებენ: ბელგიის—11,000 წევრს, ჰოლანდიის—12,000 წევრს, საფრანგეთის—1,100, შვეციის და დანიის 16.000 წევრს, გერმანიის ახალგაზრდა სოციალ პატრიოტებს ორგანიზაციის მსგავსად, ეს სექციებიც უარსყოფენ კლასთა ბრძოლას, ბურჟუაზიული სახელმწიფოს დანგრევას პროლეტარიატის რევოლიუციონურ დიქტატურის გზით.

10. მუშათა ახალგაზრდობის ყვითელი ინტერნაციონალი, ბრალს სდებს ახალგაზრდათა კომუნისტურ ინტერნაციონალს, მთლიან რევოლიუციონურ ფრონტის დარღვევაში, მაგრამ ივიწყებენ იმ ფაქტს, რომ საერთაშორისო კავშირი სოციალისტურ ახალგაზრდობისა, დაარსებული 1907 წ., თითქმის მთლიანად გადაკეთებული იქნა ახალგაზრდა კომუნისტური ინტერნაციონალად. მხოლოდ მთლიანი ფრონტი დაირღვა ახალგაზრდათა ყვითელი ინტერნაციონალის დაარსებით. ამ ინტერნაციონალის ამსტერდამის კონფერენციის მიერ შემუშავებული პროგრამაში, საუცხოვო დებულებები არის ახალგაზრდათა მუშათა ეკონომიურ პირობების გასაუმჯობესებლად, მაგრამ არც ერთი დებულება რევოლიუციონური ნაბიჯზედ პროგრამის განსახორციელებლად. პროგრამაში ნათქვამია, ახალგაზრდა მუშების ეკონომიური მდგომარეობა მიღებული იქნება მხედველობაში ტარიფების გამომუშავების დროს და პარლამენტშიო. ეს არის აშკარა ღალატი მუშათა ახალგაზრდობის მიმართ და ხელის შეწყობა კაპიტალის ეკონომიურ ექსპლოატაციისათვის.

11. ახალგაზრდათა 2 ნახ. ინტერნაციონალის პირველი კონფერენცია მოწვეულ იქნა ვენაში 1921 წ. 28 თებერვალს, ავსტრიის სოციალისტურ ახალგაზრდობის ორგანიზაციის ინიციატორობით. მასზედ მოწვეული იყვენ ყველა სოციალისტური ორგანიზაციები, რომლებიც ომამდის შედიოდნენ ახალგაზრდათა ინტერნაციონალებში. კონფერენციის დიდმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა გერმანიის ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის რეზოლიუციას. რეზოლიუციაში ნათქვამი იყო, ახალგაზრდათა ინტერნაციონალი უკვე არსებობს, ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალის სახით და საჭირო არ არის სხვა ინტერნაციონალის დაარსებაო მაგრამ ავსტრიის ორგანიზაციამ, რომელიც თავიდანვე რასკოლის გზას ადგა, (ავსტრიის ახალგაზრდათა სოციალისტურმა ორგანიზაციამ უარი განაცხადა 1915 წელს ბერნის საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობის მიღებაზე) შესძლო მიემხრო რამოდენიმე სახელმწიფოდან „ცენტრისტების" ორგანიზაციები.

12. ახალგაზრდათა 2 ნახ. ინტერნაციონალი მდიდარია მხოლოდ რევოლიუციონური ფრაზეოლოგიით. დღევანდელ ხანაში ის უარსყოფს ახალგაზრდა მუშების რევოლიუციონური ბრძოლაში მონაწილეობას. ვენის ახალგაზრდათა ინტერნაციონალი ამტკიცებს, რომ კაპიტალიზმი ვითარდება და ღონიერდება უფრო, ვინემ ის იყო ომამდის. მუშათა კლასის რევოლიუციონური მოძრაობა კი სუსტდება. მათი აზრით, ახლო მომავალში მოხდება კაპიტალიზმის ინტერნაციონალური გაერთიანება და მხოლოდ შემდეგ გადაიშლება პროლეტარიატის წინაშე რევოლიუციონური ბრძოლის მდიდარი პერსპექტივები. მანამდის კი ახალგაზრდობამ უნდა ეცადოს გააღრმავოს თავისი ცოდნა, რომ ნებაყოფლობით აირჩიოს ესა თუ ის პარტია. ეს არის ვენის ინტერნაციონალის მოძღვრება. როგორც ვხედავთ, ეს უარყოფაა კლასთა ბრძოლის.

13. ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალი წელს 3 სექტემბერს, მერვეჯერ აწყობს ახალგაზრდათა საერთაშორისო დღეს. ამ დღის ჩატარებით გადადგმული იქნება უაღრესად პრაქტიკული ნაბიჯი, მთლიანი ფრონტის აღსადგენად, პროლეტარული ახალგაზრდობის შემოკრებით ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის გარშემო.

ს. ა. ქ. ქ. საგიტაციო საპროპ. განყოფილება.

**მთელი პროლეტარული ახალგაზრდობა ჩვენთან არის რევოლიუციონური დროშის ქვეშ!**

# ახალგაზრდათა მოძრაობა აღმოსავლეთში

იღვიძებს ჰალარა აღმოსავლეთი! იღვიძებს სალათის ძილისაგან.

საერთაშორისო რევოლიუციის განვითარებამ არ დატოვა აღმოსავლეთის ხალხიც. ბრძოლა თავის არსებობისათვის, განთავისუფლება „კულტურტრეგერებისაგან" აბამს მათაც საერთო სარევოლიუციო ბრძოლის ფერხულში.

ჩინეთში ასაფეთქებელი წამალი მრავლად დაგროვდა.

ქვეყანა „ბაგდიხანებისა" დღეს გამხდარა ინგლისის, ამერიკის და იაპონიის საწველ ფურათ. დღეს ის ამ სახელმწიფოთათვის წარმოადგენს „яблоко раздора"-ს.

ჩინეთში ფაქტიური პატრონ-პატრონები ეს სახელმწიფოებია, რომელნიც ცდილობენ თავის გავლენის სფერო გააფართოვონ და ამის გამო ულრენენ ერთმანეთს.

არც ინდოეთი აძლევს მოსვენებას ინგლისს.

მოძრაობა, რომელიც კომინტერნის მეორე კონგრესმა „ნაციონალურ-რევოლიუციონურ" მოძრაობათ მონათლა, დღითი დღე ძლიერდება. დაგუბებული უკმაყოფილება მშვიდ ინდოელებისა სასტიკ მრისხანებათ იქცევა. ამის გამო ჩვენ, ნაცვლად ფარულ უკმაყოფილებისა, აშკარა ბრძოლის, შეტაკებათა და სისხლის ღვრის მოწამენი ვართ. ჩვენ ამ ბრძოლის გაღრმავებას ინდოეთში მხურვალედ მივესალმებით, რადგანაც ღრმათ ვართ დარწმუნებული იმაში, რომ ინგლისში, რომელიც ათეული სახელმწიფოები და ერები კოლონიად გაიხადა და რომელიც გამხთარა კლდეთ, რაზედაც საერთაშორისო რევოლიუციები ეხეთქება (მარქსის სიტყვები), რევოლიუცია დღის წესრიგში მხოლოდ მაშინ დადგება, როდესაც გამოეცლება ხელიდან მისი ძლიერების წყარო—კოლონიები. კორეა, ეს ხომ აღმოსავლეთის პოლონეთია, შეიძლება უფრო ტრაგიულია მისი ბედი ქვეყანაზე დღეს არ არსებობს სახელმწიფო უფრო რეაქციონური (საფრანგეთის გარდა), რომელიც ძირში აღრჩობდეს ყველაფერს ახალს, პროგრესიულს, რევოლიუციონურს, ვინემ იაპონია. არა... შეცდომით უწოდებენ მას ქვეყანას „ამომავალ მზისა", უფრო სწორად ის დახასიათდება ქვეყნათ „წარმავალ ბნელეთისა". და იბრძვის კორეა... იბრძვის ვითარცა ერი დაჩაგრული ორგვარათ, როგორც სოციალურათ, ისე ნაციონალურათ. ასეთია სურათი მთელი აღმოსავლეთის. კლასიური ბრძოლა მარტო ევროპის ხვედრი როდია. აღმოსავლეთიც ეზიარა ამ ბრძოლას, ნაციონალურ თავისუფლებისათვის ბრძოლის დამატებით. ამ მოძრაობას ანგარიშს უწევს კომუნისტური ინტერნაციონალი, რომელმაც თავის მოქმედების საგნათ თავიდანვე გაიხადა გადამჭრელ რევოლიუციონურ ბრძოლისათვის გაერთიანება დასავლეთის განაწამებ პროლეტარიატისა და აღმოსავლეთის დაჩაგრულ ერების. კომინტერნი გზას აძლევს ამ ბრძოლას და ხელს უწყობს მის გაღრმავებას და გაფართოვებას. ჩვენ კომუნისტურ ახალგაზრდობას კიდევ ერთი დიდი ინტერესი გვაქვს აღმოსავლეთში. როგორია იქ ახალგაზრდობის მდგომარეობა? ამის პასუხს გვაძლევს 1 კონგრესი შორეულ აღმოსავლეთის რევოლიუციონურ ახალგაზრდობისა, რომელიც გაიხსნა ამა წლის 30 იანვარს მოსკოვში და რომელზედაც ღებულობდენ მონაწილეობას დელეგატები 160,000 შეკავშირებული ახალგაზრდობისა ამ ქვეყნებიდან, გარდა ინდოეთისა, რომლის წარმომადგენელნი კონგრესს არ დასწრებია. საინტერესო მოხსენებები გააკეთეს ამ კონგრესზე დელეგატებმა სხვა და სხვა ქვეყნებიდან, მათ შინაარს მოკლეთ მოვიყვანთ:

იაპონიამ წარმოების განვითარების მხრივ ამ ორი წლის განმავლობაში გიგანტიური ნაბიჯი გადადგა წინ. ახალგაზრდათა მდგომარეობა უნუგეშოა. მშრომელი ახალგაზრდობა მოკლებულია საშუალებას მიიღოს სწავლა პირველ დაწყებითის გარდა ეს ეხება 91 პროც. ახალგაზრდობისა. ახალგაზრდა მუშების არმია საგრძნობია. ჩვენში არისო, ამბობს კონგრესზე იაპონელი დელეგატი (ამხ. X), ორი მილიონი და სამოცი ათასი მუშათა ახალგაზრდობა და ოთხ ნახევარი მილიონი გლეხური ახალგაზრდობა. აქედან ქალებზე მნიშვნელოვანი ნაწილი მოდის. იმათი რიცხვი მარტო სოფლის მძიმე საქსოვ წარმოებაში 290.000 აღემატება, ქალაქში კი საერთო რიცხვის ნახევარს შეადგენენ. უმწეო მდგომარეობა, რომელშიაც ჩავარდნილია სიღარიბის და ექსპლოატაციის გამო ეს არმია ახალგაზრდა მშრომელთა, ბადებს მათში გასაგებ უკმაყოფილებას გაბატონებულ კლასების მიმართ. მთავრობა ცდილობს ძირშივე ჩაკლას ყოველგვარი ნასახი უკმაყოფილების. მაგრამ აუცილებლობის თავიდან აშორება შეუძლებელია ხელოვნური ზომებით. უკვე ჩნდებიან ახალი ორგანიზაციები. შემდეგი ფაქტი საყურადღებოა ახალგაზრდათა ფართო მასის განწყობილების შესახებ. 1919 წლის მობილიზაციაზე არ გამოცხადდა 35.000 ახალგაზრდა; ეს რიცხვი კი ყოველწლის იზრდება. მიუხედავად ის შევიწროვებისა, რომელშიაც ჩაყენებულია იაპონიის ახალგაზრდობა, იმ მაინც შესძლებს გაერთიანებას და აუმართავს ამდირალ კატოს რეაქციონურ მთავრობას მტკიცე კედელს მუშურ გლეხურ ახალგაზრდობისა.

ასეთივე დამაფიქრებელ სურათს იძლევა კონგრესზე ჩინეთის დელეგატი ამხ. ლი. ჩინეთის მუშას არ გააჩნია არც ეკონომიური და არც პოლიტიკური უფლება. სამი მეოთხედი სამთამადნო წარმოებასა და საქსოვ მრეწველობისა უცხოელების ხელშია. მთავრობა მათი მაჩანჩალაა და მეტი არაფერი.

მრეწველობის სუსტ განვითარების გამო მუშათა ახალგაზრდობის რიცხვი ნახევარ მილიონს არ აღემატება. ისინი ლებულობენ მუშის ქირის ნახევარს და მუშაობენ ანტისანიტარულ მდგომარეობაში, 12 საათს, ხშირად ღამეობით.

ამ ნიადაგზე [illegible] ბრძოლის წყურვილით, რასაც ამტკიცებს ის გაფიცვები, რომელსაც ახდენენ ახალგაზრდა მუშები პერიოდიულათ თავის ინიციატივით.

ჩინეთში ძლიერია ამქრული წარმოება. მასში ჩაბმულია ერთი მილიონი ხელოსანი და ორი მილიონი შეგირდი.

ამ შეგირდების მდგომარეობა ბევრათ არ განსხვავდება ევროპის საშუალო საუკუნოების შეგირდების მდგომარეობიდან.

ასეთივეა ახალგაზრდათა გლეხის ყოფა-ცხოვრება, რომლის მხოლოდ 30 პროცენტმა იცის წერა კითხვა. ქალაქის ახალგაზდა მუშებიდან მხოლოთ 10 პროც.

სტუდენტობა, რომლის რიცხვი სამას ათას უდრის, რევოლიუციონურათ არიან განწყობილი, აარსებენ სოციალისტურ წრეებს.

არის ასეთივე წრე მოწაფეთა. ჯერ კიდევ 1911 წლის რევოლიუციაში სტუდენტობა აქტიურ მებრძოლათ გამოვიდა. მათში სიძულვილი მოსულ „კულტურტრეგების" და კოლონიზატორების მიმართ ძლიერია. სამრეწველო ქვეყანა არ არის ჩინეთი, მაგრამ საბჭოთა იდეა მაინც ძლიერია და ჩინეთს მხოლოთ საბჭოთა ტიპის სახელმწიფო იხსნის.

კორეია ჯერ კიდევ ქვეყანაა პატრიარქალურ წყობით, ძველი ტრადიციების სიძლიერით, რაც წინსვლას უშლის ხელს.

მაგრამ იაპონიის თარეში კორეიაში ქმნის რევოლიუციონურ ატმოსფერას,

კაპიტალიზმი მხოლოდ ეხლა ხან შემოიჭრა კორეიაში. ამიტომ ახალგაზდა მუშათა რიცხვი 30000 არ აღემატება, მუშაობენ კი 11 და 12 საათობით. წერაკითხვის მცოდნე მცირეა. იაპონია ცდილობს კორეიელების გადაგვარებას, რისთვისაც სკოლებს მხოლოთ იაპონურ ენაზე ხსნის. ახალგაზრდათა ორგანიზაცია ჯერ კიდევ 1903 წელს დაარსდა, მაგრამ უმაღლეს განვითარებას 1919 წელს მიაღწია, ბრძოლა სწარმოებს, როგორც იაპონელების, ისე შინაურ ბატონების წინააღმდეგ, მნიშვნელობა ახალაგაზრდათა მოძრაობისა დიდია და მის ზრდაშია ხსნა ქვეყნისა იაპონიის კლანჭებისაგან.

მონგოლიაც იღვიძებს. იქაც ისახება ახალგ. მოძრაობა. ახალი სახალხო მთავრობა ამას ხელს უწყობს. კავშირის როლი ძველ ჩვეულებებთან და ტრადიციებთან ბრძოლაში დაუფასებელია.

დასასრულ, საჭიროთ მიგვაჩნია აღმოსავლეთში ახალგაზრდათა მოძრაობის საიულისტრაციოთ მოვიყვანოთ ცნობები კონგრესზე დამსწრე დელეგატების შემადგენლობის და მათი გამომგზავნ ორგანიზაციების რაოდენობის შესახებ.

ა) ჩინეთი—წარმოდგენილია 14 ორგანიზაცია, 74000 წევრით, დელეგატების რიცხვი 29.

ბ) კორეია 8 ორგანიზაცია—90522 წევრი, 21 დელეგატი.

გ) მონგოლია 6 ორგანიზაცია—800 წევრი 15 დელეგ. სულ წარმოდგენილია 30 ორგანიზაცია 165430 წევრი. 71 დელეგატი.

ასეთია მოკლე სურათი ახალგაზრდათა მოძრაობისა აღმოსავლეთში.

მიუხედავად ათას გვარ შევიწროვებისა, ის გიგანტურ ძალას წარმოადგენს და მზად არის გადამჭრელ ბრძოლისათვის იმპერიალისტურ მპყრობელებთან თავის ქვეყნების გასანთავისუფლებლათ.

აღმოსავლეთ რევოლიუციონერ ახალგასდობის გზა არის გზა ევროპის მშრომელ ახალგაზრდობასთან.

ვ) კავშირებისა ახალგ. კომუნისტურ ინტერნაციონალის მეთაურობით ჩვენ გვწამს, რომ ისინიც მიიღებენ მონაწილეობას საერთაშორისო ახალგაზრდობის დღესასწაულში სამ სექტემბერს. ჩვენი ვალია მხურვალე სალამი გაუგზავნოთ მათ და გავიმეოროთ მანიფესტის ის სიტყვები, რომლითაც მიმართა მათმა კონგრესმა ყველა ახალგაზრდა მშრომელთ კორეიისა, ჩინეთისა, იაპონიისა და მონგოლიისა: „ახალგაზრდა მშრომელნო შორეულ აღმოსავლეთისა! შემოკრბით ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალის დროშის ქვეშ ყველა, იაპონიის, ჩინეთის, კორეიის და მონგოლიის ახალგაზრდობა—ყველა ძმებმა შრომაში და ბრძოლაში შექენით მებრძოლთა რიგები, რევოლიუციონური კავშირი ახალგაზრდობისა. ემზადეთ გადამჭრელ ბრძოლისათვის, თავისუფლების მოსაპოებლათ. განთიადი იწყება... მილიონ მუშების და გლეხების შეტევით ჩვენ შევძლებთ დაძლევას ძველი ქვეყნის უსამართლობისა და ავმართავთ ჩვენ წითელ, სისხლით შეღებილ დროშას ტანჯვით განაწამებ ქვეყნიერებაზე".

ვ. გოგუშვილი.

**გაუმარჯოს ახალგაზრდათა კომინტერნს. გაუმარჯოს ახალგაზრდათა საერთაშორისო დღეს—3 სექტემბერს!**

ტირაჟი 10,000. ნ. დ. ს. ც. საქართველოს სახალხო საბჭოს უმაღლეს მეურნეობის პოლიგრაფიულ განყოფილების მე-2 სტამბა, კრუზენშტერნის ქ. № 4.